საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბუთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 17 ოქტომბერი. 2019 წ. №206 (8872) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

მტკიცებულებების შეფასება „თიბისი ბანკის“ საქმეზე

თაღლითი „გამოთეთრებლები“

მტკიცებულებებიდან აშკარად იკვეთება, რომ ხაზარაძისა და ჯაფარიძის სქემის მიზანი იყო ფულის გათეთრება, მისი პრედიკატი დანაშაული კი – თაღლითობა

საქართველოს გენერალური პროკურატურა ავრცელებს ბრალდების მრჩეველთა საერთაშორისო ჯგუფის შეფასებას ბადრი ჯაფარიძის და მამუკა ხაზარაძის ბრალდების საქმესთან დაკავშირებით.

ბატონო შალვა,

თქვენი თხოვნით ჩამოვაყალიბეთ ბრალდების მრჩეველთა საერთაშორისო ჯგუფი (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „ჯგუფი“), რათა პერიოდულად მოგვეწოდებინა ჩვენი წერილობითი მოსაზრება მიმდინარე გარკვეულ გამოძიებებთან დაკავშირებით. ჩვენი მიზანია, შევაფასოთ სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად საჭირო მტკიცებულებების მიზანშეწონილობა და შესაბამისობა.

ახლახან გვთხოვეთ, შეგვესწავლა მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძესთან დაკავშირებული სესხების მიმართ მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ამ დრომდე შეგროვებული მტკიცებულებები. აღნიშნული სესხები 2007-2008 წლებში გაცემულია სს „თიბისი ბანკის“ მიერ ავთანდილ წერეთლის საკუთრებაში არსებული ორი ქართული კომპანიისთვის – შპს „სამგორი M“-ისა და შპს „სამგორი თრეიდისთვის“.

2019 წლის 24 ივლისს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ხაზარაძეს და ჯაფარიძეს ბრალი წარუდგინა 2008 წელს განხორციელებული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის (ე.ი. ფულის გათეთრება) 16,664,000 აშშ დოლარის ოდენობით; დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით. მოგვიანებით, ბრალი წარედგინა ავთანდილ წერეთელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25, 194 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით. ჩვენ პირადად შევხვდით თქვენს თანამშრომლებს თბილისში. გარდა ამისა, გვქონდა დისტანციური საუბრებიც. ჩვენი ანგარიში, რომელიც თან ერთვის წინამდებარე წერილს, სრულად ეყრდნობა თქვენს მიერ მოწოდებულ მასალებს და ჩვენს განხილვებს. აღნიშნული ანგარიშის მიზანი არ არის სრულად მიმოიხილოს ამ ან მასთან დაკავშირებული საქმეების ფაქტობრივი გარემოებები. ანგარიშის ავტორები ასევე არ აცხადებენ, რომ ისინი არიან ქართული საპროცესო სამართლისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების ექსპერტები.

ჯგუფისთვის მიწოდებული მტკიცებულებებიდან აშკარად იკვეთება მ. ხაზარაძისა და ბ. ჯაფარიძის სქემა, რომლის მიზანიც იყო ბანკისგან მიღებული თანხების დანაწილების შენიღბვა, რაც წარმოადგენდა ფულის გათეთრებას და მისი პრედიკატი დანაშაული იყო თაღლითობა. მტკიცებულებები ცხადყოფს მრავალ დარღვევას, მათ შორის იმ ფაქტს, რომ „თიბისი ბანკი“-სგან თანხების მიღების შემდეგ, შპს „სამგორი M“-მა და შპს „სამგორი თრეიდ“-მა აღნიშნული თანხები უმოკლეს ვადებში გადაურიცხეს მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეს, რომლებიც მაღალ თანამდებობებს იკავებდნენ სს „თიბისი ბანკში“.

გამოძიების პროცესში აღმოჩენილი დარღვევების ცალ-ცალკე განხილვით, შესაძლოა, არ დადგინდეს 2007 და 2008 წლებში გაცემულ სესხებთან დაკავშირებით უკანონო ქმედებების არსებობა, მხოლოდ საბანკო სამართლის ტექნიკური დარღვევა. თუმცა, ფაქტები ცალკეულად არ არსებობს. მხოლოდ ჩვენთვის მოწოდებულ მასალებზე დაყრდნობით მივიჩნევთ, რომ მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძისა და ავთანდილ წერეთლისთვის წარდგენილი ბრალდებები უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის ეფუძნება სათანადო მტკიცებულებებს, რომლებიც ცხადყოფს საჭირო პრედიკატი დანაშაულის – თაღლითობის არსებობას.

როგორც ჩვენს სრულ ანგარიშში დეტალურადაა განხილული, რომელიც უფრო სიღრმისეულად აფასებს კანონს, ფაქტებსა და შესაბამის საკითხებს, რასაც ყურადღებას მიაქცევს და შეაფასებს სასამართლო, ჯგუფი მიიჩნევს, რომ მტკიცებულებები საკმარისია ბრალდების მხარდასაჭერად და ამართლებს მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძისა და ავთანდილ წერეთლის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის პროცედურებს.

მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის“.

პოლ კოფი, მოშე ლადორი.

თემის გაგრძელება იხ. 2-3 გვ.

გამოთაყვანების სინდრომი

არაფერი გვეშველება, სანამ ფეხშიშველი ჩერგო... ბოკერიას ხატს ოჯახებში არ ჩამოატარებს!..

4

ნატო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის რუსეთთან არ იომებს!

6

მაშ, რისთვის ვფლანგავთ დროს?

ნოეს გზით თუ ილიას გზით?

5

ტყუილ-მართალი ანაკლიის პორტის გარშემო

საზოგადოებრივი მოძრაობა „ლელოს“ დამფუძნებელმა **მამუკა ხაზარაძემ „მთავარი არხის“ ეთერში სკანდალური განცხადება გააკეთა. ხაზარაძემ გაიხსენა საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან 2017 წელს გამართული შეხვედრა.**

როგორც ხაზარაძე ყვება, ივანიშვილმა ურჩია, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტისთვის თავი დაენებებინა.

„არ დამავიწყდება ძალიან ცუდი საუბარი ბიძინა ივანიშვილთან 2017 წელს. ეს არის ის დრო, როდესაც ჩვენ უკვე 20 მილიონი ინვესტირებული გვაქვს პორტში, წინა განვითარების პროგრამაში. მიდის გეოლოგიური შესწავლა, უცხოელები არიან ჩამოსულები და ა.შ. სულ ვაყენებდი საქმის კურსში მას (ბიძინა ივანიშვილს), შევხვდი მის რეზიდენციაში, საუბარი დაიწყო ძალიან მძიმედ, მითხრა, მოდი, შევეშვათ ანაკლიას, შენ, ეტყობა, გეოპოლიტიკაში ვერ ერკვევი. ასეთი რაღაც მითხრა: „რა უნდათ ამერიკელებს შავ ზღვაში?!“ მე მეგონა, რომ რაღაც შაყირთან გვქონდა საქმე, ვუთხარი, რომ ის კომპანია, SSA Marine ამ პროექტის მმართველი უნდა იყოს 25 წლის განმავლობაში. ვუთხარი, ყვითელი ზღვა იციან, წითელი ზღვა და შავი ზღვა რა პრობლემაა... და რომ მივხვდი, რომ იუმორზეც აღარ გვქონდა საუბარი“, — აღნიშნავს ხაზარაძე და იხსენებს, რა დაასახელა ბიძინა ივანიშვილმა ანაკლიის პორტის პროექტის მხარდაჭერის მოტივად, — „თქვა (ივანიშვილმა), რომ ამ პროექტს იმიტომ დავუჭირე მხარი, რომ გიორგი გამაგრებულიყოო. პრემიერად, რომ დავნიშნე, რაღაც სალაპარაკო ჰქონოდა ხალხთან და ვფიქრობდი, რომ ჩინური სახელმწიფო კომპანია უნდა ყოფილიყოო და ახლა ძალიან ვერ ვხედავ ამის პერსპექტივასო“.

როგორც ხაზარაძე ამბობს, ივანიშვილთან შეხვედრაზე დაინახა, რომ ერთ კაცს შეუძლია, ხელაღებით ყველაფერი გადაშალოს: მინისტრთა კაბინეტი, ინვესტირება და ა.შ.

„მე ვკითხე, ხალხს რა ვუთხრათ-მეთქი, ხალხს? მიპასუხა: „ინტერვიუს მივცემ და ყველაფერი კარგად იქნებაო“, — თქვა ხაზარაძემ.

„ივანიშვილმა მითხრა, რა უნდათ ამერიკელებს შავ ზღვაში?!“

ხაზარაძის ინფორმაციით, შეხვედრაზე, სადაც ივანიშვილმა ანაკლიის პორტის პროექტის შესახებ განსხვავებულად ისაუბრა, ასევე ესწრებოდნენ, ბადრი ჯაფარიძე, ლევან ახვლედიანი, გიორგი გახარია და მაია ცქიტიშვილი.

„ლელოს“ დამფუძნებლის შეფასებით, ბიძინა ივანიშვილი იტყუებოდა, როდესაც ანაკლიის პორტის შესახებ დადებითად საუბრობდა.

ამერიკელების ადგილი არის შავ ზღვაში!

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა მაია ცქიტიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ამერიკელების ადგილი არის არამარტო შავ ზღვაში, არამედ მოგეხსენებათ, რომ ჩვენი და აშშ-ის ურთიერთობა გასცდა სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებს. ასეთ პროექტში, რა თქმა უნდა, ამერიკელი ინვესტორები მისასალმებელნი არიან“.

მინისტრი „ლელოს“ დამფუძნებლის მამუკა ხაზარაძის განცხადებას გამოეხმაურა, რომლის თქმითაც, ბიძინა ივანიშვილი ანაკლიის პროექტზე უარის თქმისკენ მოუწოდებდა და მიიჩნევდა, რომ შავ ზღვაში ამერიკელების ადგილი არ არის.

„რა თქმა უნდა ... და ძალიან საინტერესო კითხვაა. პირადად ჩემ მიმართ კონსორციუმის მხრიდან ბრალდებები გვესმის, თითქოს ამერიკელი ინვესტორის სასარგებლოდ გავაგდე ყაზახი ინვესტორი ოთახიდან, ამავდროულად, კონსორციუმის ერთ-ერთი დამფუძნებლისგან ბრალდება იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს ჩვენ არ გვინდა ამერიკელები ვიხილოთ შავ ზღვაში, უბრალოდ არათავსებადია ერთმანეთთან. ერთ ლოგიკაზე და ერთ ხაზზე უნდა შეთანხმდნენ.

რა თქმა უნდა, ამერიკელების ადგილი არის არამარტო შავ ზღვაში, არამედ მოგეხსენებათ, რომ ჩვენი და აშშ-ის ურთიერთობა გასცდა სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებს. ეს არის გრძელვადიანი ისტორიული ურთიერთობა ჩვენს ქვეყნებს შორის და, რა თქმა უნდა, ასეთ პროექტში, როგორიც არის პორტი, როგორიც არის ასეთი ტიპის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურა, რა თქმა უნდა, ამერიკელი ინვესტორები მისასალმებელნი არიან...“, - განაცხადა მაია ცქიტიშვილმა.

ხაზარაძემ გადაწყვიტა, ეთაღლითა ტენდერის მოსაგებად, რომლის შესრულების შანსი არ არსებობდა

მამუკა ხაზარაძემ გადაწყვიტა, ეთაღლითა იმისთვის, რომ მოეგო ტენდერი, რომლის შესრულების შანსი არ არსებობდა იმ იმედით, რომ შემდეგ მთავრობა პირობებს შეუცვლიდა. არ ვიცი, თაღლითობა შეიძლება ძალიან რბილი სიტყვაც იყოს ამასთან დაკავშირებით, — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა რეგიონულ საკითხებში სოზარ სუბარმა „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „360 გრადუსი“ განაცხადა.

სოზარ სუბარის განცხადებით, მამუკა ხაზარძემ პარლამენტში თქვა, რომ კონსორციუმმა კარგად იცოდა, რომ ანაკლიის პორტის პროექტზე ისეთი ტენდერი იყო გამოცხადებული, რომლის შესრულება შეუძლებელი იყო, თუმცა ამის მიუხედავად, ტენდერში მონაწილეობა მაინც მიიღო, რათა გაემარჯვებინა.

„კონსორციუმს ჰქონდა ვალდებულება მოეყვანა ინვესტორები. ვერ მოიყვანა. არაერთხელ გავიდა ამის ვადა. მეორე, მათ გააკეთეს განცხადება, რომ ჰყავთ ინვესტორი, რომელზეც მათ შორის, ოპოზიციური პარტიების მხრიდან დაიდო არაერთი მასალა, რომ ეს არის ყაზახური კომპანია, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული კრემლის ინტერესებთან, „გაზპრომთან“, თუ ვიღაცასთან. არ ვიცი, ეს რამდენად მართალია, თუმცა ცხადია, ეს შესწავლადია.მთავარი ის, არის, რომ დღემდე კონსორციუმი ამბობდა, რომ მთავარი ინტერესი ამ შემთხვევაში, არის ის, რომ სწორედ ამერიკული მხარე არის შემოყვანილი.თითქოს სწორედ ამიტომ მოხდა ის, რომ თავის დროზე ბატონმა ხაზარაძემ პარლამენტში კომიტეტის მოსმენების დროს, პირდაპირ გააკეთა განცხადება, რომელიც მეგონა, რომ ექსპერტების და ჟურნალისტების მხრიდან ძალიან დიდი დაინტერესების საგანი გახდებოდა და დიდი დარტყმები წამოვიდოდა ჩვენზე, ხელისუფლებაზე, რომ რატომ მოაწერეთ ხელი ასეთ ხელშეკრულებას. მან თქვა, რომ იცით, კონსორციუმმა ძალიან კარგად იცოდა, რომ ისეთი ტენდერი იყო გამოცხადებული, რომლის შესრულება შეუძლებელი იყო, მაგრამ მასში მონაწილეობა მე მაინც იმისთვის მივიღე, რომ გამემარჯვებინა. სხვებმა ვერ მიიღეს მონაწილეობა იმიტომ, რომ იცოდნენ, შესრულება შეუძლებელი იყო. დარწმუნებული ვიყავი, რომ ამის შემდეგ შევიცვლიდი პირობებსო. ეს ძალიან სერიოზული აღიარებაა, რომელიც მინიმუმ, სერიოზულ ანალიზს მაინც საჭიროებს, თუ მეტს არა“, — განაცხადა სოზარ სუბარმა

საქართველოს მთავრობა ითვალისწინებს ანაკლიის პორტის მშენებლობის პროექტის მნიშვნელობას და ამ ეტაპზე უარს ამბობს ხელშეკრულების მოშლის უფლების გამოყენებაზე

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ანაკლიის ღრმაწლოვან პორტთან დაკავშირებით სპეციალურ განცხადებას ავრცელებს. „კომერსანტი“ განცხადების ტექსტს უცვლელად გთავაზობთ:

„ყოველთვის ითვალისწინებდა და ითვალისწინებს ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტის მიმართ არსებულ მაღალ საჯარო ინტერესს და დროულად აწვდის საზოგადოებას ობიექტურ ინფორმაციას პროექტის მიმდინარეობის შესახებ.

ვინაიდან გუშინ, 15 ოქტომბერს, უშედეგოდ ამოიწურა „ანაკლიის განვითარების კონსორციუმისთვის“ პორტის მშენებლობის თაობაზე საინვესტიციო ხელშეკრულების მორიგი და ერთ-ერთი ბოლო ცვლილებით განსაზღვრული კონსორციუმის შუალედური ვალდებულებების შესრულების ვადა, გვსურს, საზოგადოებას გავაცნოთ საქართველოს მთავრობის, როგორც საინვესტიციო ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

მიუხედავად იმისა, რომ კონსორციუმმა კაპიტალის შევსების ვალდებულება ნაწილობრივ, ხოლო ბანკებთან მიღწეული შეთანხმების წარმოდგენის ვალდებულება საერთოდ ვერ შეასრულა, რაც საქართველოს მთავრობას ანიჭებს უფლებას, დაუყოვნებლივ მოშალოს ხელშეკრულება, საქართველოს მთავრობა ითვალისწინებს ანაკლიის პორტის მშენებლობის პროექტის მნიშვნელობას და ამ ეტაპზე უარს ამბობს ხელშეკრულების მოშლის უფლების გამოყენებაზე.

საქართველოს მთავრობა აძლევს კონსორციუმს საშუალებას, ბოლომდე გამოიყენოს მის ხელთ არსებული რესურსი და ფინანსური ვალდებულებების შესრულებისთვის დაწესებულ საბოლოო ვადამდე, ანუ 2019 წლის ბოლომდე, მოიზიდოს როგორც საკუთარი კაპიტალი, ისე მიაღწიოს საერთაშორისო ბანკებიდან წერილობით შეთანხმებას პორტის მშენებლობის პროექტის დასასრულებლად.

აქვე შეგახსენებთ, რომ საქართველოს მთავრობასა და „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ შორის გაფორმებული საინვესტიციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პრაქტიკულად ყველა ვალდებულების შესრულების ვადა 2017 წლიდან დღემდე საქართველოს მთავრობამ ანაკლიის განვითარების კონსორციუმს რამდენჯერმე გადაუვადა. ანაკლიის პორტის პირველი ფაზის მშენებლობისთვის საჭირო დაფინანსების მოძიების ვადა 2017 წლის 15 აგვისტოდან არაერთხელ, ხოლო ბოლო, მე-12 ცვლილებით 2019 წლის 31 დეკემბრამდე გადავადდა.

მიმდინარე წლის ბოლომდე ანაკლიის განვითარების კონსორციუმს დაფინანსების ნაწილში შესასრულებელი რჩება შემდეგი ვალდებულებები:

- **შეთანხმება პოტენციურ ინვესტორებთან 120 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის კონსორციუმის საკუთარი კაპიტალის შევსების თაობაზე;**
- **საერთაშორისო ბანკებთან 400 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით სესხის გამოყოფის თაობაზე შეთანხმების მიღწევა და ხელშეკრულების გაფორმება;**
- **ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის 20 მილიონი დოლარის ოდენობის საბანკო გარანტიის წარდგენა;**
- **პირველი ფაზის ტერმინალის ოპერატორთან და პირველი ფაზის სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორთან ხელშეკრულების გაფორმება.**

იმედს ვიტოვებთ, რომ პროექტის მიმართ საქართველოს მთავრობის მორიგი მხარდაჭერა შედეგიანი იქნება და კონსორციუმი ამჯერად შეძლებს საკუთარი სახელშეკრულებო ვალდებულებების ჯერეროვნად შესრულებას“.

„კომერსანტი“

კახა კალაძე: როგორც ბურჭულაძემ დაამთავრა, ხაზარაძემ ისე დაიწყო!..

დიდი ეჭვი მაქვს, რომ ხაზარაძემ ანაკლიის პროექტის განხორციელება შეძლოს, მას არც ფინანსური რესურსი აქვს ამის და არც გონებრივი შესაძლებლობები, — განაცხადა თბილისის მერმა კახა კალაძემ „ლელოს“ დამფუძნებლის მამუკა ხაზარაძის შესახებ საუბრისას.

კალაძის თქმით, მამუკა ხაზარაძე ჭორაობითაა დაკავებული.

„მე გავაკეთე შეფასებები მამუკა ხაზარაძის განცხადებებთან დაკავშირებით. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ადამიანი ახალი შემოსულია პოლიტიკაში, ახალ პოლიტიკურ გუნდს აყალიბებს, ეს ყველაფერი გამოადგება ჩვენს ქვეყანას, რაღაც ჯანსაღი ოპონირება იქნება, მაგრამ ეს ადამიანი დაადგა ისევ და ისევ სიყალბეს, სიცრუეს და ჭორაობას. ის, რაც მოვიდა და აკეთებს პოლიტიკურ განცხადებებს პირველივე დღიდან გვეჭორავება, გვეჭორავება ჩვენ და ეჭორავება საზოგადოებას.

რაც შეეხება ანაკლიის კონსორციუმისთვის ვადების გაგრძელებას, მივესალმები ამ გადაწყვეტილებას. ეს არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ხელისუფლების მხრიდან, რომ დემონსტრირება გააკეთოს იმისა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის ამ პორტის მშენებლობა და ამ პროექტის განხორციელება, თუმცა კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ძალიან დიდი ეჭვი მაქვს, რომ ხაზარაძემ ამ პროექტის განხორციელება შეძლოს. მას არც ფინანსური რესურსი აქვს ამის და არც გონებრივი შესაძლებლობები“, — განაცხადა კალაძემ.

კახა კალაძის თქმით, ხაზარაძე პოლიტიკაში შემოსვლიდან საოცარ განცხადებებს აკეთებს.

„შედარებებსაც აკეთებენ პაატა ბურჭულაძესთან. სიცრუე, სიყალბე ბევრ პოლიტიკოსს სჩვევია საქართველოში, რაც ძალიან ცუდია და ხელს უშლის ქვეყნის განვითარებას, ზოგადად, პოლიტიკური სპექტრის ჩამოყალიბებას. ერთი შედარება შემიძლია, გავაკეთო — როგორც პაატა ბურჭულაძემ დაამთავრა, ხაზარაძემ ისე დაიწყო პოლიტიკაში შემოსვლა“.

მამუკა ხაზარაძის განცხადებები მიუთითებს, რომ მან კარგად აითვისა ისტორიის გადაწერის მცდელობის „ნაცმოძრაობისეული“ მეთოდიკა, — ასე ეხმაურება მოძრაობა „ლელოს“ დამფუძნებლის განცხადებებს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი გია ვოლსკი.

„ანაკლიის პორტთან თუ სხვადასხვა საგარეო და საშინაო ფაქტორებთან დაკავშირებით ბოლო პერიოდში მამუკა ხაზარაძის მიერ გაკეთებული განცხადებები მხოლოდ ერთ რამეზე მიუთითებს — მან კარგად აითვისა ისტორიის გადაწერის (უფრო მცდელობის) „ნაცმოძრაობისეული“ მეთოდიკა. გათვლა იმაზეც კეთდება, რომ ძველი ამბების მიმართ საზოგადოების ემოციური კავშირები შესუსტებულია და მისი აზრით რასაც გინდა, იმას შეასაღებ, თანაც „სკანდალური დეტალების“ გამოაშკარავებით. ასეთი ხასიათის მორიგი განცხადება მოვისმინეთ „პროგრეს ბანკთან“ დაკავშირებით.

მოდით, გავიხსენოთ ზოგიერთი დეტალი და სურათიც ნათელი გახდება. ყველას ახსოვს ყაჩაღური თავდასხმა ბანკ „ქართუზე“ 2011 წელს, როდესაც ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში გამოჩნდა და საფრთხე შეუქმნა რეჟიმს.

მაშინ ყველა სახელმწიფო ინსტიტუციის დახმარებით ბანკის გაკოტრების უკანონო პროცესი დაიწყო. იმავე მიზეზით და მეთოდით სრულდებოდა ბრძანება კახა კალაძის „პროგრესბანკის“ დატერორების შესახებ. აშკარად, ყველას თვალწინ, დაიწყეს მენეჯმენტის, დეპოზიტარებისა და კრედიტორების დაშინება! ბიძინა ივანიშვილმა მაშინ მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება, დახმარებოდა „პროგრესბანკს“, რათა ერთი მხრივ საზოგადოებისთვის ეჩვენებინა, რომ ბოროტებასთან ბრძოლა შესაძლებელია და ამასთანავე გადაერჩინა დეპოზიტარები, რომლებიც უფულოდ რჩებოდნენ ბანკის გაკოტრების შემთხვევაში.

თუნდაც პოლიტიკური ქველმოქმედება დავარქვათ ამ აქტს, ვინმეს უნდა გაუკვირდეს მისგან ქველმოქმედება? საზოგადოებაში არასოდეს კითხვაც არ დასმულა ამ ნაბიჯის აუცილებლობასთან დაკავშირებით. თვითონაც კარგად იცის ხაზარაძემ, რომ არასოდეს, არც მაშინ და არც ამის შემდეგ, ბიძინა ივანიშვილს ბანკის მმართველობაში მონაწილეობა არ მიუღია, არც პირდაპირ, არც წარმომადგენლის მეშვეობით. არ ჰყოლია წარმომადგენელი არც დირექტორთა, არც სამეთვალყურეო საბჭოში; ეს იყო იმ დროისთვის საგანგებოდ აუცილებელი ერთჯერადი აქტი. ისიც შესანიშნავად იცის, რომ ბოლოს, როდესაც „პროგრესბანკი“ გაიყიდა, ბიძინა ივანიშვილს ერთი თეთრიც არ მიუღია“...

ხაზარაძის ადგილზე შემრცხვებოდა!..

„პროგრესბანკში“ ბიძინა ივანიშვილის შემოსვლა იმით იყო განპირობებული, რომ ბანკი იმ თაღლითებისგან და მოძალადეებისგან გადაერჩინა, რომელსაც სააკაშვილის რეჟიმი წარმოადგენდა, — განაცხადა თბილისის მერმა კახა კალაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას.

კალაძე გამოეხმაურა „ლელოს“ დამფუძნებლის იმ განცხადებასაც, რომელიც „პროგრესბანკს“ შეეხებოდა. ხაზარაძემ მედიას განუცხადა, რომ აღნიშნული ბანკის შეძენა ბიძინა ივანიშვილმა შესთავაზა. ხაზარაძის თქმით, როდესაც 2016 წელს „პროგრესბანკის“ შესყიდვის პროცედურა დაიწყო, უცხოურმა აუდიტორმა აქტივები შეამოწმა, საიდანაც რამდენიმეს ყიდვაზე რეკომენდაცია გასცა, რამდენიმეზე კი ითქვა, რომ მათი შესყიდვა რეკომენდებული არ იყო. მამუკა ხაზარაძის თქმით, გაჩნდა ეჭვი, რომ ეს იყო ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული ტრანზაქციები.

„მამუკა ხაზარაძემ აღარ იცის, თავისი სავარაუდო დანაშაული — ფულის გათეთრება და შეუსრულებელი ვალდებულებები როგორ გადაფაროს. „ნაციონალური მოძრაობის“ ნარატივში ჯდება და ვიცით, როგორია მიდგომები და დამოკიდებულება — დააბრალე სხვას ის, რასაც აფუჭებ შენ.

რაც შეეხება „პროგრესბანკს“, ბიძინა ივანიშვილის შემოსვლა „პროგრესბანკში“ განპირობებული იყო მხოლოდ და მხოლოდ ერთი მოტივით, გადაერჩინა ბანკი იმ თაღლითებისგან და მოძალადეებისგან, რომელსაც სააკაშვილის რეჟიმი წარმოადგენდა. როდესაც მივიღე გადაწყვეტილება პოლიტიკაში შემოსვლასთან დაკავშირებით, ორად-ორი ბანკი იყო, „ქართუ“ და „პროგრესბანკი“, რომელთანაც დაიწყეს ბრძოლა ყველანაირი აკრძალული მეთოდებით. დაიწყეს გაკოტრება იმ ადამიანების დაშინებით, ვისაც კრედიტებით ვემსახურებოდით. ერთადერთი მოტივი, რისთვისაც ბიძინა ივანიშვილმა 22-პროცენტიანი წილი შეიძინა და რამდენიმე მილიონი გადაიხადა, იყო ბანკის გადასარჩენად და ეს ასეც მოხერხდა. სხვა მას ბანკთან არანაირი შეხება არ ჰქონია საერთოდ.

სრული პასუხისმგებლობით მინდა ვთქვა, რომ არანაირ გათეთრებებთან „პროგრესბანკს“ კავშირი არ ჰქონია. და კიდევ ვთქვათ, რაღაც გადარიცხვები მართლაც განახორციელა ამ ბანკმა, რა შუაშია საერთოდ ბიძინა ივანიშვილი?“ — განაცხადა კალაძემ.

ამასთან, კალაძე კითხვას სვამს, თუ ბანკი ფულის გათეთრებით იყო დაკავებული, ხაზარაძემ ის როგორ შეიძინა.

„არ გიჩნდებათ კითხვები ამასთან დაკავშირებით? ორი წლის მერე გაახსენდა, რომ თურმე ასეთი ბანკი უყიდია.

გია ვოლსკი: მამუკა ხაზარაძემ კარგად აითვისა „ნაცმოძრაობისეული“ მეთოდიკა

„ანაკლიის პორტის კომერციულ დასაბუთებას მე თავიდანვე ვერ ვხედავდი, რადგან არსებობს მონაცემები, რომელიც გამოქვეყნებული იყო და რომელში ჩაღრმავება რატომღაც არავის უნდა. შვიდი ნავსაყუდელით ასი მილიონი ტვირთი ვერანაირად ვერ გადაიტვირთება. ასეთი ფენომენი უბრალოდ არ არსებობს. ამისთვის უნდა აშენდეს 35 ნავსაყუდელი, როგორც იყო კიდეც თავიდან გათვლილი, როდესაც ლაზიკის პროექტი კეთდებოდა.

ანაკლიის ელექტროენერგიით უზრუნველყოფას, დამატებით 200-მეგავატიანი სიმძლავრის ელექტროსადგური სჭირდება, რომელიც ამ ეტაპზე ნამდვილად არ გვაქვს და არც ის არის განსაზღვრული, როდის ან სად აშენდება; 100-მილიონიანმა ტვირთმა რომ გაიაროს, მილიარდი დოლარის ინვესტირება მაინცაა საჭირო; კასპიის ზღვაზეა ინფრასტრუქტურა მოსაწყობი, რომელსაც მარტო ჩვენი ქვეყნის ნებართვა ნამდვილად არ ყოფნის. აი, ამიტომ ვამბობ, რომ ეს ყველაფერი პოლიტიკური სპეკულაციის თემად უფრო იქცა.

თუმცა, ვერც ხელისუფლების მხრიდან ვხედავ ისეთ მონდომებას, როგორიც უნდა იყოს. არადა ის მინიშნებები, რასაც აშშ-ის წარმომადგენლები აკეთებენ, ეს უფრო სამხედრო პროექტია, რადგან, წყალქვეშა ნავებზეა საუბარი.

და როდესაც ასეთი მნიშვნელობის სტრატეგიულ ობიექტზეა საუბარი, ამ პროექტს კომერციულთან უკვე ნაკლები შეხება აქვს და აქ სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილება. კერძო პირებზე კი არ უნდა ვიყოთ დამოკიდებული, სწორედ სახელმწიფოების დონეზე უნდა გადაწყდეს დაფინანსება. ამისთვის კი მთავრობამ სასწრაფოდ უნდა გაწყვიტოს ხელშეკრულება ხაზარაძესთან და თავად დაიწყოს აშშ-სთან და იმ საინვესტიციო ჯგუფთან საუბარი. ეს იქნება ყველაზე მკაფიო პასუხი და თუ ამ ნაბიჯს არ გადადგამენ, მაშინ გამოდის, რომ ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს, ეს პროექტი არ განხორციელდეს“, — აცხადებს პარტია „ტრიბუნას“ ლიდერი დავით ჭიჭინაძე.

დავით ჭიჭინაძე: მთავრობამ სასწრაფოდ უნდა გაწყვიტოს ხელშეკრულება ხაზარაძესთან და თავად დაიწყოს აშშ-სთან ანაკლიის პროექტზე საუბარი

ირმა ინაშვილი: თუ „ოცნება“ გაბედავს და არჩევნებში დაიწერს 60 პროცენტს, მიიღებს ნამდვილ რევოლუციას

არჩევნების მასობრივი გაყალბების წინააღმდეგ ერთადერთი ჯანსაღი რეაქცია არის რევოლუცია, რომელსაც „ქართული ოცნება“ აუცილებლად მიიღებს, — ამის შესახებ „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერმა ირმა ინაშვილმა ბრიფინგზე განაცხადა.

მისი თქმით, ეს იქნება ნამდვილი რევოლუცია, პროტესტი და რეაქცია ქართველი ხალხისა იმ შედეგებზე, რომელსაც ირაკლი კობახიძე წინასწარ ასაჯაროებს.

პირდაპირ შემიძლია ვუთხრა კობახიძეს და „ქართულ ოცნებას“, რომ დღეს იმდენად მძიმე და დაზიანებულია მათი რეიტინგი, არ მგონია, ვინმეს სურვილი ჰქონდეს „ქართულ ოცნებასთან“ რაიმე ტიპის თანამშრომლობის. ჩვენ ყოველ შემთხვევაში არასდროს გამოგვიხატავს ეს სურვილი და არ შეგვითავაზებია მისთვის არავითარი პარტნიორობა და თანამშრომლობა. ამიტომ, წითელ ხაზს ჩვენ ვუვლებთ „ქართულ ოცნებას“, კობახიძეს და სხვებს.

— თუ ორი აფთარი ერთმანეთს უღრენს, ეს არ ნიშნავს, რომ ლეოპარდს მშვიდად ეძინოს. საქმე საქმეზე რომ მიდგება, ტერიტორიის გამო, ახალგაღვიძებულ ლეოპარდს ისინი ერთად შეჭამენ...

არაფერი გვეშველება, სანამ ფეხშიშველი ჩერგო... ბოკერიას ხატს ოჯახებში არ ჩამოატარებს!..

ყოველგვარი **პოლიტკორექტულობის გარეშე, პირდაპირ ვიტყვი, რომ ბოლო ერთი თვის განმავლობაში, საქართველოს ე.წ. „ზედა ეშელონებში“ მასობრივი გამოთაყვანების სინდრომი შეინიშნება.**

ამ სინდრომის ბოლო გამოვლინება გუშინ საქსტატმა გაახმიანა:

საარსებო მინიმუმი 2019 წლის სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, 70 თეთრით გაიზარდა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, სექტემბერში შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი 189.9 ლარს შეადგენდა, მაშინ როცა აგვისტოში ეს მაჩვენებელი 189.2 ლარი იყო. რაც შეეხება შედარებას წინა წელთან, 2018 წლის ანალოგიურ პერიოდთან, სექტემბერში შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი 19.7 ლარით არის გაზრდილი.

აგვისტოსთან შედარებით, სექტემბერში გაიზარდა საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმიც და 168.2 ლარი შეადგინა. ამასთან, 1.3 ლარით გაიზარდა საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი და 318.6 ლარი გახდა.

ოჯახის ტიპების მიხედვით საარსებო მინიმუმი:

ერთსულიანი — 168.2 ლარი
ორსულიანი — 269.2 ლარი
სამსულიანი — 302.8 ლარი
ოთხსულიანი — 336.5 ლარი
ხუთსულიანი — 378.5 ლარი
ექვსსულიანი და მეტი — 447.5 ლარი

აქვე გთავაზობთ იმ რაციონს, რომლითაც საშუალო ასაკის შრომისუნარიანი მამაკაცი უნდა დაკმაყოფილდეს:

პური — თვეში 7.5 კილოგრამი (დღეში 250 გრამი)
ლობიო — თვეში 600 გრამი;
ბრინჯი — თვეში 300 გრამი;
მაკარონი — თვეში 450 გრამი;
ღორის ხორცი — თვეში 300 გრამი;
ქათმის ხორცი — თვეში 600 გრამი;
ძეხვი — თვეში 300 გრამი;
კარტოფილი — თვეში 4.5 კილოგრამი;
კომბოსტო — თვეში 1.2 კილოგრამი;
მაწონი — თვეში 750 გრამი.

შეგახსენებთ, 2004 წლიდან საქსტატი საარსებო მინიმუმის მაჩვენებლებს ანგარიშობს იმ მინიმალური სასურსათო კალათის მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია და დადგენილია „საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებისა და საარსებო მინიმუმის განსაზღვრისთვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობის ნორმებისა და ნორმატივების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 8 მაისის №111/ნ ბრძანების შესაბამისად.

პრინციპში სხვას რას უნდა ველოდოთ, როცა პოლიტიკურ სპექტრში, უარესი ხდება.

* * *

ამ რამდენიმე დღის წინ „ტვ პირველზე“ სანაია-ჟიჟილაშვილის გადაცემაში საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს, ვიმეორებ — უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს — საქართველოს პარლამენტის ორი წარმომადგენელი, „რეიტინგულ“ თოკ-შოუში სრული სერიოზულობით განიხილავენ მოქმედი გენერალური პროკურორისა და უზენაესი სასამართლოს უვადო მოსამართლეობის კანდიდატის უმაღლესი განათლების დამადასტურებელი საბუთის ავთენტურობას!

ვერაფერს ვერ ვწერ იმის გარდა, რომ ვიკითხო — მეტეორი თავზე დაგვეცა, თუ სადმე სხვა ადგილას?

ეგ კიდევ არაფერი იმასთან შედარებით, რომ გიგა ბოკერია და სააკაშვილი „უფლის გზას“ შეუდგნენ და, ფაქტობრივად, ვხედავთ იმას, რაც 1054 წელს კონსტანტინოპოლში მოხდა (1 წელს, რომის პაპმა კონსტანტინოპოლში გააგზავნა თავისი ელჩები — ლეგატები. ლეგატებმა წმინდა სოფიას ტაძრის საკურთხეველზე დადეს ბერძნული ეკლესიის წყევლა-კრულვის შემცველი სიგელი. ბერძნულმა სამღვდელოებამ დაწვა წერილი და თავის მხრივ წყევლა-კრულვა შეუთვალა რომის პაპს).

ზუსტად ასე წყევლიან და კრულავენ ერთმანეთს ბოკერვილები და მიშმაკები. წყევლიან და კრულავენ... ხალხის გარკვეულ ნაწილს და, რაც მთავარია, მმართველ პოლიტიკურ ძალას კი მათი „დაპირისპირება“ მართალი ჰგონია.

— თუ ორი აფთარი ერთმანეთს უღრენს, ეს არ ნიშნავს, რომ ლეოპარდს მშვიდად ეძინოს. საქმე საქმეზე რომ მიდგება, ტერიტორიის გამო, ახალგაღვიძებულ ლეოპარდს ისინი ერთად შეჭამენ...

„ოცნებას“ და მით უმეტეს ხალხს, სულაც არა აქვს მშვიდად ყოფნის ფუფუნება. იმის ლოდინი, თუ რომელი აფთარი მოერევა, ან რომელიმეზე ფსონის გაკეთება სისულელეა.

დამღა — რუსული ნარატივი, რომელსაც პატრიოტების წინააღმდეგ „მწიფე მსხალივით ხრავენ“ ე.წ. „დასავლური ტიპის“ პოლიტიკური თუ არასამთავრობო ორგანიზაციები და მათი კონტროლის ქვეშ მყოფი მედია, „ოცნებისთვისაც“ არის გამზადებული და იმ „გამოცდილებას“ რაც უკვე მიღებული აქვთ, იმ კავშირებს, რაც გააჩნიათ, 2020-ის თებერვლიდან აამუშავებენ.

კრემერი, ბრაიზა, ნაყიდი უცხოური გამოცემები და მათი მსგავსი ლობისტები, პირზე დუჟმომდგარნი ელოდებიან, თუ როდის მიეცემათ საშუალება „ოცნების“ რეალურ ლიდერებს (გახარია, კალაძე), გადასხან „რუსული პროექტის“ ლაფი.

იმის ფიქრი, რომ ვერ გაბედავენ, სასაცილოა. აბა დაფიქრდით — მაშინ, როცა საფრანგეთში დაბადებულ და გაზრდილ ქალს, ნამდვილი პოლიტიკური ემიგრანტების შთამომავალს, კგბ-ფსბ-ს მოქმედ ოფიცერთან ერთად, არასამთავრობოები და „გაერთიანებული ოპოზიცია“ რუსეთის აგენტობას აბრალებდნენ, სხვა შემთხვევაში რას იზამენ?

არადა, ამ მიშაზე და ბოკერიაზე სერიოზულად რომ ვიფიქროთ, ადვილად მივხვდებით, რომ არც ერთია ტალეირანი და არც მეორე ჩერჩილი, მაგათი ეს პოლიტიკური ავანტიურა ძნელი მისახვედრი რომ იყოს.

თუ მართლა „შეუდგნენ ჭეშმარიტების გზას“, მაშინ მისცეს ბოკერიამ ჩვენება საკაკაშვილის წინააღმდეგ, ან სააკაშვილმა ბოკერიას წინააღმდეგ. აი, მაშინ გამოჩნდება, რომ ნამდვილად „უფლის გზაზე დადგნენ და ჭეშმარიტებას უნდა ეზიარონ“, მაგრამ... ნიყვი!

ეგაა და ეგ. ყველაფერი ძალიან მარტივია და ეგ „პოლიტხლართები“ იმ გოგოშკებისთვის შეინახონ, თავი ჟურნალისტები რომ ჰგონიათ და ამ კლოუნადაში „სერიოზულ მასალას“ ხედავენ.

ისე, რამსიგრძე ფეხები ჰქონიათ ამ ბოკერიას და სააკაშვილს, რომ ყოველი სიტყვის მერე უმოკლდებათ, უმოკლდებათ და მაინც ფეხზე დგანან.

ამ ორ ნაძირალაზე წერას ერთი ფეისბუქპოსტით დავამთავრებ — **„ღმერთმა და ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ საქართველო გამთლიანდეს“ — განაცხადა გიგა ბოკერიამ და სამკაპა კუდით ყური მოიფხანა.**

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში დაიბეჭდა ირაკლი კობახიძის „პროგნოზი“ 2020-ის არჩევნებთან დაკავშირებით, სადაც მან 20% ნაცებსა და ევრონაცებს მიაკუთვნა.

ამ კობახიძისეული „მიგნების“ გამო საკმაოდ ლეგიტიმური შეკითხვა გამიჩნდა: ბატონო ირაკლი, პირადად თქვენი და თქვენი თანაგუნდელების მიერ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში გაკეთებულ განცხადებებს და შეფასებებს თუ გადავხედავთ, ნაციონალური მოძრაობა და ევროპული საქართველო, თავიანთ ფაშისტ არასამთავრობოებთან (არასამთავრობოებს „ფაშისტი“ სწორედაც ირაკლი კობახიძემ უწოდა) ერთად არიან ანტისახელმწიფოებრივი, დესტრუქციული და კრიმინალური ძალები.

გეკითხებით — **თქვენ, როგორც საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრი, მმართველი პოლიტიკური ძალის ერთ-ერთი ლიდერი, რას აკეთებთ, რომ ეს ანტისახელმწიფოებრივი წარმონაქმნები არამცთუ საკანონმდებლო ორგანოში მოხვდნენ, არამედ პასუხი აგონ ჩადენილ უამრავ დანაშაულზე?**

პასუხები — დასავლეთი ვერ გაგვიგებს, ლომჯარიასა და გიგაურს ეწყინებათ, ან — მათ მხარდამჭერები ჰყავთ, არ გამოდგება!..

დასავლეთი იმას უფრო ვერ გაგვიგებს, თუ რატომ სხედან კრიმინალები პარლამენტში და არა ციხეში. დამნაშავეთა ნებისმიერ ჯგუფს ჰყავს მხარდამჭერთა გარკვეული რაოდენობა, ხოლო რაც შეეხება ლომჯარიასა და გიგაურს, ეწყინოთ...

ანალოგიური სტილის განცხადება გააკეთა პარლამენტის ახალმა თავმჯდომარემ.

„ყველა წინა ხელისუფლების ცვლილების დროს რეალური ტრადიცია იყო, რომ ხდებოდა მთელი საჯარო სამსახურის წმენდა, მისი მთლიანად პარტიული კადრებით დაკომპლექტება. ამ წლების განმავლობაში, არაერთი ადამიანი გვაკრიტიკებს იმის გამო, რომ წინა ხელისუფლების დროს საჯარო სამსახურში მყოფი პირები დღემდე მუშაობენ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს პოლიტიკური კულტურა რეალურად შეცვალა „ქართულმა ოცნებამ“. ამ დროს არის აზრთა სხვადასხვაობა საზოგადოებაში, მაგრამ დღეს იმის მოწოდება, რომ ვიღაცამ პოლიტიკური ამინისტია უნდა გამოაცხადოს, ვფიქრობ, უბრალოდ, დროში ჩამორჩება მოვლენებს“, — განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

ბატონო არჩილ, მსურს, გითხრათ, რომ საჯარო სამსახურებში იმ ხალხის დატოვება, რომლებიც ქმნიდნენ ძალადობრივ, კორუმპირებულ და მძარცველურ რეჟიმს, რომლებზეც იდგა ის სისხლიანი კალო, რასაც სააკაშვილ-ბოკერიას ბანდა ჩვენს თავზე ატრიალებდა, რომლებიც გიფსო-კარდონით ახდენდნენ აღმაშენებლის პროსპექტის რეაბილიტაციას, რომლებიც ქმნიდნენ „პოტიომკინის“ საავადმყოფოებს, საწარმოებს, აეროპორტებს; რომლებიც ერთმანეთზე აბამდნენ ელექტროენერგიას, წყალს და დასუფთავებას, რომლებიც ჯარიმების სისტემით და ბიზნესმენებზე წაღლეტილი ფულით ავსებდნენ ბიუჯეტს და ამას დიდი სიამოვნებით აკეთებდნენ, სულაც არ არის „პოლიტიკური კულტურის შეცვლა“.

რაც შეეხება „ოცნების“ პარტიულ კადრებს, დამერწმუნეთ, რომ არც მათზე მაქვს დიდი წარმოდგენა, მაგრამ ხალხში არიან ნამდვილი სპეციალისტები, ადამიანები, რომლებსაც საკმაოდ ნაყოფიერი და დიდი შრომითი გამოცდილება გააჩნიათ.

ისინი შეიძლება საუბრის დროს არ იყენებენ ფრაზებს „დავგოიმდი“, „რელევანტური“, „სენსიტიური“ და „ავთენტური“, კედლებზე არა აქვთ ჩამოკიდებული რომელიმე უცხოურ სასწავლებლში გავლილი ათდღიანი კურსების დამადასტურებელი სერტიფიკატი, მაგრამ ნამდვილი სპეციალისტები არიან. სწორი საკადრო პოლიტიკა კი სწორედ ასეთი ადამიანების გამოვლენა და მათი დასაქმებაა, რაც სხვათა შორის, პოლიტიკური ხელისუფლების უპირველესი მოვალეობაა.

წერილი კი ასე მინდა დავამთავრო — სანამ ბოკერიას ხატს ფეხშიშველი ჩერგო ოჯახებში არ ჩამოატარებს, ალბათ მანამდე არაფერი გვეშველება!!!

გია გაბრიჭიძე

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ორი გზა აქვს: ილიას გზა, ანუ გადარჩენის გზა და ნოეს გზა, ანუ დაღუპვის გზა. შეიძლებოდა, აგრეთვე გვეთქვა: ერეკლე მეფისა და სოლომონ ლიონიძის, ან სტალინისა და შევარდნაძის გზებიო, მაგრამ პირველ შემთხვევაში ჯერ დამდგარი არ იყო შედეგი და სოლომონ ლიონიძის დაეჭვება გასაგებია; მეორე შემთხვევაში დამდგარი იყო შედეგი, მაგრამ გაუგებარია, რომელი შევარდნაძე ვიგულისხმოთ, ჩრდილოეთიდან რომ ამოჰყავდა მზე თუ ის, ჩრდილოეთში რომ „ჩაიყვანა“ და დასავლეთიდან „ამოიყვანა“? ილიას გზა კი ერთმნიშვნელოვნად ჩრდილოეთთან უღალატო მეგობრობას ნიშნავს, რამაც ფიზიკურ დაღუპვას გადაარჩინა საქართველო; როგორც ნოეს გზა — გადამრჩენელი ჩრდილოეთის ღალატს და დასავლეთის მოიმედეობას, რამაც კინაღამ დაღუპა იგი, სტალინსა და ორჯონიკიძეს სულზე რომ არ მიესწროთ მისთვის.

ნოეს გზით თუ ილიას გზით?

საქართველომ სამჯერ იარა ნოეს გზით და სამჯერვე გადაუბრუნდა ურემი: პირველად — თვითონ ნოეს კოფოზე ჯდომით, მეორედ — ედუარდის კოფოზე ჯდომით, მესამედ — მიშას კოფოზე ჯდომით. ურემი რო გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდებაო, მაგრამ გზა კი არ გამოჩნდა, სულ დაიკარგა. ამიტომ კითხულობენ დღეს: Quo vadis („საით მივდივართო?“). ნოე აღარ არის, ედუარდი აღარ არის, მიშაც გინდა ყოფილა, გინდ არა, აღარც ურემი აქვს და აღარც გზა. სამაგიეროდ, საღლომე არის „თავისი“ გზით: მიშას მიერ ურმიდან ჩამოგდებულმა, ნოეს გზას „საქართველოს გზა“ დაარქვა და წავიდა.

...ისტორია ცხოვრების მასწავლებელიაო და, ქვეყანას ისტორიკოსები იმისთვის სჭირდება, რომ სამჯერ დაშვებული შეცდომა მეოთხედ აღარ ჩაადენინონ, რადგან მეოთხე შეცდომა შესაძლოა, საბედისწერო გახდეს ქვეყნისთვის. ჩვენი ისტორიკოსები კი, მშობელი ქვეყნის შეუბრალებლად, მეოთხე შეცდომის ჩასადენად სწირავენ მას.

ისტორიკოსი **ვახტანგ გურული,** მაგალითად, გადარჩენის გზას ნოეს გზაში ხედავს, რითაც, ფაქტობრივად, მის გზაზე სიარულით საქართველოს დაღუპვას უწონებს შევარდნაძე-სააკაშვილებსა და მარგველაშვილ-ზურაბიშვილებს: **„ა. ეპიფანცევი თვლის, რომ საქართველოს მიერ 1918 წლის მაისში პროგერმანული ორიენტაციის აღიარება, ანუ ძველი პატრონის (რუსეთის) ახალი პატრონით (გერმანიით) შეცვლა სხვა არაფერი იყო, თუ არა „ძველი ქართული ჩვევის“ განმეორება და არა ეპოქალურ ქარტეხილებში გადარჩენის გზაზე მოკავშირის ძიება“** („მაცნე“, № 2, 2014; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 01.10.2019).

ეპოქალურ ქარტეხილებში ილიას გზამ გადაარჩინა საქართველო, 700 ათას ქართველამდე დასული ერი ორ საუკუნეში ხუთნახევარ მილიონამდე რომ გაზარდა და გაალაღა; ნოეს გზამ კი ხუთნახევარი მილიონი, სულ რაღაც სამ ათეულ წელიწადში, გაანახევრა, მსოფლიოში გაფანტა და გაუცინარი გახადა, ხოლო აყვავებული საქართველოს სსრ სამ ნაწილად დაშალა და გააპარტახა. პატივცემული ისტორიკოსი არ ითვალისწინებს, რომ 1921 წელს სტალინსა და ორჯონიკიძეს რომ ნოეს გზა არ გაესწორებინათ, ბოლშევიკები უიმათოდ შემოვიდოდნენ საქართველოში, აღადგენდნენ იმპერიის საზღვრებს და გერმანიის წინ კვიცივით მორბენალ „მოღალატე საქართველოს“ (ა. ეპიფანცევის კვალიფიკაციაა), უაფხაზეთოდ და უსამხრეთოსეთოდ, გუბერნიებად დააბრუნებდნენ უნიტარულ რუსეთში. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რა ბედი შეიძლებოდა სწვეოდა საქართველოს, მეორე მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანიის მოკავშირედ რომ დარჩენილიყო?!

სტალინმა, ორჯონიკიძესთან ერთად, მოახერხა, რომ უნიტარული რუსეთი „ფორმით ეროვნულ, შინაარსით სოციალისტურ საბჭოთა კავშირად“ გარდაექმნა, გუბერნიები კი — წარმატებულ და ბედნიერ „საქართველოს სსრ“-დ, ხოლო ბერიასთან ერთად, მოეგო ომი და კავის რუსეთი ატომურ სახელმწიფოდ გაეხადა. ამიტომ ამბობს ანდრეი ეპიფანცევი სინანულით: **„საქართველოს თავზე ᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘᲝ“,** ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲡᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲐᲧᲝᲚᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲕᲖᲔᲪ ᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘᲝ! ᲔᲡ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲖᲔ ᲗᲕᲐᲚᲘᲡ ᲓᲐᲮᲣᲭᲕᲐ ᲐᲠᲪ ᲠᲣᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲙᲝᲡᲔᲑᲡ ᲛᲘᲔᲢᲔᲕᲔᲑᲐᲗ, ᲐᲠᲪ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲡ.

იმაში, რომ ნოე ჟორდანიამ და ედუარდ შევარდნაძემ უღალატეს საქართველოს გადამრჩენელ რუსეთს და დასავლეთში დაიწყეს მოკავშირის ძიება, არ შეიძლება შევედავოთ ანდრეი ეპიფანცევს, მაგრამ უბრალოდ სიმართლისათვის შეუსაბამო იქნება, განვაზოგადოთ ჟორდანია-შევარდნაძის ქმედებები და „მოღალატის“ იარლიყი მივაკრათ საქართველოსა და ქართველ ხალხს. ამ ცილისწამების უარსაყოფად მარტო სტალინისა და ბერიას სახელებისა და იმ ფაქტის გახსენებაც კმარა, დიდ სამამულო ომში რუსებთან ერთად მებრძოლი მოხუცი ქართველები 2008 წლის აგვისტოში საქართველოში საომრად შემოსულ რუს ჯარისკაცებს პურ-ღვინით რომ შეეგებნენ?! გიორგი სააკაძისა და შაჰ აბასის ურთიერთობა ტრაგედიის თემაა და მას შექსპირი სჭირდება. ერეკლე მეორის მიერ გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ ოსმალეთთან „თავდაუსხმელობის ხელშეკრულების“ გაფორმება შეიძლება შეცდომად ჩაითვალოს, მაგრამ ღალატად ვერ შეფასდება, მით უმეტეს, რომ ქართველ მეფეთა სამასწლოვან სწრაფვას რუსეთისკენ, მან მოაბა თავი.

მოღალატეები რუსებსაც ბლომად ჰყავთ და ქართველებსაც. რაც შეეხება ღალატის ჩვევას, ეს ქართველებისთვის მართლაც დამახასიათებელია, მაგრამ ეს მანკიერება მათში უფრო ერთმანეთის მიმართ არის გავრცელებული, ვიდრე უცხოელების მიმართ. ამ მხრივ, ნოე ჟორდანია და ედუარდ შევარდნაძე შეიძლება გამონაკლისებად განვიხილოთ; მიშიკო სააკაშვილი კი ამერიკაში განისწავლ-დატრენინგდა და ჯერჯერობით ამერიკისთვის არ უღალატია.

ასეა თუ ისე, ანდრეი ეპიფანცევს, მიუხედავად ზოგიერთი გადაცდომისა, ჩემი აზრით, მაინც მადლობა უნდა ვუთხრათ იმისთვის, რომ სერიოზულად დაინტერესდა ჩვენი პრობლემით. ამ თვალსაზრისით, ბ-ნი ვახტანგ გურულის გაფიცხება (გურულები ფიცხი ხალხია, მაგრამ ისტორიკოსს არ უხდება სიფიცხე), რუსი მკვლევარისათვის საქართველოს ისტორიის გაყალბებისა და რომელიმე პოლიტიკური ძალის წისქვილზე წყლის მიშვების დაბრალება კი მეტისმეტად გადაჭარბებულია: **„საქართველოს ისტორიის გაყალბებით დღეს ვერავის გააკვირვებ. ისტორიას აყალბებს ყველა: პროფესიონალი და მოყვარული, მცოდნე და სრულიად უმეცარი. მეტწილად ისტორია ყალბდება რომელიმე პოლიტიკური ძალის დაკვეთით, ხანაც დაუკვეთავად. მავანს და მავანს უჩნდება შინაგანი მისწრაფება — წაივარჯიშოს რომელიმე ერისა და სახელმწიფოს ისტორიაში, თავისი „აღმოჩენებით“ მიიპყროს საზოგადოების ყურადღება. საბოლოოდ, ასეთი კალმოსნები, ნებსით თუ უნებლიეთ, მაინც რომელიმე პოლიტიკური ძალის წისქვილზე უშვებენ წყალს და ისტორიის გაყალბების საძრახ საქმეს ემსახურებიან. ზემოთ თქმულის დადასტურებაა ანდრეი ეპიფანცევის ვრცელი სტატია სათაურით „იყო კი საქართველო რუსეთის მოკავშირე? ქართული სახელმწიფოს გადარჩენის მოდელი“.**

ისტორიის გაყალბება და რომელიმე პოლიტიკური ძალის წისქვილზე წყლის მიშვება მიუტევებელი საქციელია, მით უმეტეს ისტორიკოსისთვის, თუნდაც იგი პატრიოტული არგუმენტებით მანიპულირებდეს, რამეთუ ისტორიკოსობასა და პატრიოტიზმს „შუა უზის დიდი მზღვარი“. დღევანდელ არეულ დროში, რას გაიგებ, ვინ ვის წისქვილზე უშვებს წყალს?! ერთი რამ კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას: ანდრეი ეპიფანცევი იმის წისქვილზე ვერაფრით მიუშვებდა წყალს, ვისაც მისი სტატია შეაშფოთებდა.

პირველი, ვინც რუსი მკვლევარის ინტერნეტში გამოქვეყნებულ სტატიას შეუშფოთებია, გაბატონებული ამხანაგი ედუარდ შევარდნაძე ყოფილა: **„ამ მასალამ სერიოზულად შემაშფოთა“!**

შეუშფოთებია და მერე როგორ შეუშფოთებია! ისე შეუშფოთებია, რომ ქართველი ჟურნალისტებისა და ისტორიკოსებისთვისაც უთხოვია, რომ ისინიც შეშფოთებულიყვნენ: **„გთხოვთ, გაეცნოთ ანდრეი ეპიფანცევის მასალას საქართველოს შესახებ. ჩემი შეხედულებით, წერილი დაკვეთითაა დაწერილი და თავიდან ბოლომდე ანტიქართული ხასიათისაა. ამ მასალამ სერიოზულად შემაშფოთა. ვგონებ, ქართველმა ისტორიკოსებმა უნდა ამიღონ ხმა“!**

მაინც რას შეუშფოთებია ასე ბატონი ედუარდი? რას და, თქვენ წარმოიდგინეთ, სიმართლეს, რასაც თვითონვე აღიარებს: **„ერთადერთი, რაც სიმართლეს შეესაბამება, არის შევარდნაძის ერთი გამოსვლიდან ამოგლეჯილი ციტატა იმის შესახებ, რომ საქართველოსთვის მზე ჩრდილოეთიდან ამოვიდა“.**

რაო, არ მითქვამსო? დალოცვილო (ხელი და პირი მისკენ!), თუ არ გითქვამს, მაგის უარყოფას ეპიფანცევის მიერ 2009 წელს „დაწამებულ ცილს“ ელოდებოდი, მაგ ციტატამ მანამდე ქვეყანა შეაჯერა! თუმცა არ უარყოფს, ამბობს ვთქვი, მაგრამ მე არ მითქვამს, სოლომონ ლიონიძემა თქვაო: „მე ჩემს წიგნებში და გამოსვლებში არაერთხელ აღმინიშნავს, რომ ეს სიტყვები ეკუთვნის მეფე ერეკლეს უახლოეს თანამებრძოლს სოლომონ ლიონიძეს, რომლითაც მან დაიტირა გმირი მეფე: „შენ აირჩიე გზა ჩრდილოეთისა და მზე ჩრდილოეთისა“. ჩემი შეცდომა ის არის, რომ სოლომონ ლიონიძე, ნამდვილი ავტორი ამ სიტყვებისა, მაშინ არ ვახსენე“ (ალეკო ასლანიშვილის მიხედვით, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 26.09.2019).

ᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲘ ᲩᲘᲢᲡ ᲓᲐᲘᲭᲔᲠᲓᲐ! ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ ᲚᲘᲝᲜᲘᲫᲘᲡ ᲓᲐᲢᲘᲠᲔᲑᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲓᲐ, ᲠᲐᲪ ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔᲡ ᲧᲘᲜᲩᲐᲓ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘ: ᲔᲠᲔᲙᲚᲔ ᲛᲔᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲡᲐᲧᲕᲔᲓᲣᲠᲡ!

ᲝᲛᲐᲠ ᲮᲐᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲑᲔᲚᲒᲘᲘᲓᲐᲜ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ 60-ᲛᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲔᲠᲛᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ საქმეთა სამინისტროს სისტემური განახლების ფარგლებში, ძველი თბილისის რაიონში 60-მა მართლწესრიგის ოფიცერმა დაიწყო მუშაობა.

მართლწესრიგის ოფიცრებს პირველი სამუშაო დღის დაწყება შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა გაგა კირკიტაძემ და საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორმა მიხეილ დაუშვილმა მიულოცეს.

პირველ სამუშაო დღეს მართლწესრიგის ოფიცრები ძველი თბილისის მოსახლეობას შეხვდნენ და თავიანთი საქმიანობის სპეციფიკა გააცნეს.

ოფიცრები, ასევე ეწვივნენ აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის №42 საჯარო სკოლას, სადაც მოსწავლეებს ბულინგის შესახებ და ამ პრობლემის ერთობლივი ძალისხმევით გადაჭრის გზებზე ესაუბრნენ.

მართლწესრიგის ოფიცრები აქამდე თბილისის მასშტაბით მხოლოდ ვაკე-საბურთალოს რაიონში მუშაობდნენ. დაახლოებით, 10-თვიანი მუშაობის შედეგად, მართლწესრიგის ოფიცრებმა თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, დანაშაულის პრევენციის მიზნით, არაერთ ფაქტზე მოახდინეს რეაგირება.

მართლწესრიგის ოფიცერი საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მოდელია, რომელიც მსოფლიოში დანაშაულის პრევენციის აპრობირებული ინსტრუმენტია.

ნატო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის რუსეთთან არ იომებს!

მაშ, რისთვის ვფლანგავთ დროს?

დღე ისე არ ჩაივლის, ხელისუფლებამ მსოფლიო რეიტინგებში ჩვენი ქვეყნის წარმატება არ გვახაროს – კორუფციასთან ბრძოლაო, მსოფლიო ბანკის რეიტინგებიო, ბიზნესის კეთების საქმეში მეწინავეობაო ...

აი ახლაც, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველომ, კორუფციასთან ბრძოლის კუთხით, 100%-იანი სკალიდან, 76.4% მიიღო, ევროპის საუკეთესო ოცეულში პოზიცია ერთი ადგილით გაიუმჯობესა და მე-18 ადგილი დაიკავა. მან ევროკავშირის წევრ 14 სახელმწიფოს გაუსწრო.

რაც შეეხება ხელისუფლების ეფექტიანობას, საჯარო სამსახურის ხარისხსა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობაში, საქართველომ რანგირების 100%-იანი სკალიდან 74.04% დაიმსახურა და უკეთესი შედეგი აჩვენა, ვიდრე ევროკავშირის 6 ქვეყანამ.

ეს ინფორმაცია მაშინ იქნებოდა სასიამოვნო და საამაყო, რეალობას კარგა მანძილით რომ არ იყოს დაშორებული. ნუთუ ვინმეს სჯერა, გარდა ხელისუფლებისა, რომ მონაცემებში აღნიშნული **„საჯარო სამსახურის ხარისხიანობა და პოლიტიკური დამოუკიდებლობა“** სიმართლეს შეეფერება?!

საკმარისია ამ „საამური“ ამბის მომტანი ტელევიზიასა და პრესას თვალი მოაშორო – ხელში შეგრჩება უმძიმესი სოციალური ვითარება, რომელიც დამთრგუნველად მოქმედებს მოსახლეობაზე. მსოფლიო რეიტინგებში მოპოვებული მიღწევები მაშინ ჩაითვლება წარმატებად, თუ ის დადებითად აისახება მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. სამწუხაროდ, ასეთ ტენდენციას ადგილი არ აქვს. პირიქით, რაც უფრო „წარმატებულები“ ვართ ჩვენს საზღვრებს გარეთ, მით უფრო წარუმატებლად ვცხოვრობთ ქვეყნის წიგნით...

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ინფლაციის საგანგაშო ციფრები დაფიქსირდა. წლეულს სექტემბერში ფასების საერთო დონე 6.4%-ით გაიზარდა. შეუძლებელია, აღმოაჩინო კვების პროდუქტი, მედიკამენტი, პირველადი მოხმარების საგანი, რომელზეც ფასები არ გაზრდილა.

ექსპერტთა მიხედვით, ეს დასაწყისია, ვინაიდან ბაზარზე ჯერაც არის ადგილობრივი წარმოების პროდუქტი, მაგრამ როდესაც გამოილევა და იმპორტულით ჩანაცვლდება, ისედაც გაზრდილი ფასები გაორმაგდება!

საქართველოს, ერთ დროს აგრარულ-ინდუსტრიულ ქვეყანას, უამრავი დასახელების საქონელი გაჰქონდა საბჭოთა რესპუბლიკებში, დღეს რომ საზღვარგარეთად მოიაზრება, აგრეთვე სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოებში და კაპიტალისტურ ქვეყნებშიც კი.

დამოუკიდებლად ცხოვრების 28 წლის განმავლობაში საქართველოს საექსპერტო პროდუქცია ერთობ მოკრძალებული გახდა, რაც მთელი რიგი ნეგატიური ფაქტორებით არის განპირობებული – უპირველესად, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დონის დაქვეითებით. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელია ე.წ. გარე ფაქტორებზე ხაზგასმა, რასაც ხელისუფლება – თავის მართლების მიზნით ხშირად მიმართავს.

საქართველოში არ გამოჩნდა ხელისუფლება, სიღრმისეულად რომ შეესწავლა ქვეყნის შიდა ცხოვრება, გამოეტანა შესაბამისი დასკვნები და გადაედგა სწორი ნაბიჯები აღმშენებლობისკენ. ახლახან, „TV პირველმა“ აჩვენა აჭარაში შექმნილი გაუსაძლისი ცხოვრების ვიდეოკადრები. ქოხმახებში მცხოვრები ბათუმელები, რომელთა შემოსავალი მხოლოდ პენსია და უმწეოთა დახმარებაა, იძულებული არიან, გვიან ღამით თურქეთში გადავიდნენ ჩაის საკრეფად და იქ ნაშოვნი ორი თეთრით ირჩინონ თავი.

ვინც ეს ვიდეოკადრები იხილა, უდავოდ შეძრწუნდებოდა ნანახი სიდუხჭირით – ბათუმის ახალმშენებლობების ფონზე. თუმცა არიან ადამიანები ხელისუფლებასა და ოპოზიციაში, წარბშეუხრელად რომ აღიქვამენ ნანახს და არავითარ სურვილს არ გამოხატავენ გაჭირვებულთა დასახმარებლად.

პოლიტიკა, რომელსაც 28 წლის განმავლობაში აწარმოებს ყველა ხელისუფლება, გამოუსადეგარია. განა არ ესმის ხელისუფლებას, რომ ნატოსა და ევროკავშირში გაწევრებაზე ლაპარაკი ჯერჯერობით ტყუილი დროის ხარჯვაა და მეტი არაფერი?

ამ ორგანიზაციებში გაწევრება ხელისუფლებას იმიტომ სურს, რომ სხვამ გაგვიკეთოს ჩვენი მთავარი გასაკეთებელი...

ხელისუფლება იმასაც ვერ ხვდება, რომ ევროპა ამას არ „ჭამს“. ევროკავშირს პოლიტიკურად ჯანსაღი, ეკონომიკურად წელში გამართული სუპერდემოკრატიული ქვეყანა სჭირდება და არა მათხოვარი. ევროპას სჭირდება ისეთი ქვეყანა, რომელსაც მეზობლებთან არ აქვს სადავო საკითხები. ევროპას სჭირდება ისეთი ქვეყანა, რომელსაც ტერიტორიული მთლიანობა მოწესრიგებული აქვს, ვინაიდან მათი წესდება სულაც არ ითვალისწინებს ახალი წევრის ტერიტორიული პრობლემების მოწესრიგებას.

წინა და დღევანდელი ხელისუფლების ნატოში შესვლის სურვილი რომ ტერიტორიული საკითხების მოგვარებაზე გადის, კარგად არის ცნობილი ბრიუსელისთვის, ამიტომაც გვთავაზობს ის დაკარგული ავტონომიების გარეშე გაწევრებას. ნატო უკვე დაუფარავად გვეუბნება – აღიარეთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა და ამის შემდეგ განვიხილავთ თქვენს ნატოში მიღებასო.

ჩვენ ვლაპარაკობთ ყველაფერზე, განსაკუთრებით ნატო-ევროკავშირის სიკეთეებზე, ტურიზმზე, მსოფლიო რეიტინგებში მიღწეულ წარმატებებზე, რუსეთის აგრესიასა და ოკუპაციაზე, მაგრამ არ ვლაპარაკობთ უმუშევრობაზე, აქედან გამომდინარე პრობლემებზე, სიდუხჭირეზე, მძიმე დემოგრაფიაზე, საზღვარგარეთ ლუკმაპურის საძიებლად შრომისუნარიანი ადამიანების გადინებაზე, განქორწინებაზე.

საქსტატის მონაცემებით 2018 წელს 23202 ქორწინება აღირიცხა და 10288 – განქორწინება. ყოველი მეორე ქორწინება განქორწინებით მთავრდება. თავიდათავი უარყოფითი სტატისტიკისა, მძიმე სოციალური პრობლემებია. ერთი სიტყვით, ვლაპარაკობთ ყველაფერზე, მაგრამ არა ზემოჩამოთვლილ მთავარზე, ერის ყოფაზე, ერის გადარჩენაზე.

ჩვენ არ ვსვამთ მარტივ კითხვას – სჭირდება კი ქუთაისს ან საქართველოს, სადაც ყოველ ნაბიჯზე უნივერსიტეტებია, ახალი უნივერსიტეტი; ქალაქში, სადაც ახალგაზრდათა რაოდენობა – თბილისში გადმოსვლით და უცხოეთში გადახვეწით, კატასტროფულად არის შემცირებული, ვინ უნდა ისწავლოს იმ უნივერსიტეტში – გადახვეწილმა ახალგაზრდებმა?

იქნებ უცხოელებმა, აზია-აფრიკის ქვეყნებიდან, რომელთა რაოდენობა სოკოებივით მრავლდება?!

ქუთაისს, რომელსაც სასმელი წყლის სერიოზული პრობლემები წლობის განმავლობაში ვერ მოუწესრიგებია, თანამედროვე ტექნოლოგიური უნივერსიტეტი უშველის?

პრობლემა, სოციალურად დაუცველი საზოგადოებისთვის (ასეთი მთელი თუ არა, სამშობლოში დარჩენილი ნახევარზე მეტი მოსახლეა) ნატო-ევროკავშირში გაწევრება კი არა, ამ საკითხზე ფუჭი, გაუთავებელი ლაპარაკია. ნაცვლად ამისა, უმჯობესი იქნებოდა მეზობლების გამოცდილების გაზიარება. მაგალითად სომხეთის, რომელიც დსთ-ს, „ოდკბს“, ევრაზიული კავშირის წევრიც არის და ევროკავშირის ისეთივე ხელშეკრულების ხელისმომწერიც, როგორიც საქართველოა. რა დაკარგა ამით სომხეთმა?

არც არაფერი, პირიქით. მისი სასოფლო-სამეურნეო და სხვა პროდუქცია, ყოველგვარი საბაჟო ბარიერების გარეშე შედის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, ისე, როგორც მათი პროდუქცია სომხეთში. სომხეთი, თავდაცვის თვალსაზრისით მშვიდად გრძნობს თავს „ოდკბ-ში“, გარდა ამისა, მისი ჯარი ბრძოლისუნარიანი და კბილებამდე შეიარაღებულია.

ახლახან სომხეთმა უმასპინძლა „ევრაზესის“ სამიტს, რომელშიც მონაწილეობდნენ რუსეთის, ყაზახეთის, ბელარუსის, ყირგიზეთის პრეზიდენტები, აგრეთვე ამ ორგანიზაციასთან მოთანამშრომლე მოლდოვის პრეზიდენტი, თანამშრომლობის მოსურნე ირანის პრეზიდენტი და სინგაპურის პრემიერ-მინისტრი. ნეტავ, რით არის გაჭირვებული საქართველო მეტი ამ ქვეყნებზე – ცხვირაწეული რომ „დაჰყურებს“ მათ?

„ევრაზესის“ დიდ პერსპექტივაზე მეტყველებს თურქეთის, ისრაელის, ინდოეთის, სხვა ქვეყნების განაცხადი ამ ორგანიზაციასთან მჭიდრო თანამშრომლობისთვის. ჩვენ რას ველოდებით – ევროკავშირში და ნატოში ვითომ შესვლას?

> **ნატო ვერ შეცვლის თავის წესდებას პრობლემებიანი ქვეყნის თავის რიგებში მიღების შესახებ. ნატო არ მიიღებს ქვეყანას, რომელსაც კონფლიქტი აქვს დიდ, გონებით განუსჯელ მეზობელთან – ტერიტორიულ საკითხებში. ნატო არ იომებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის რუსეთთან. მაშ, რისთვის ვფლანგავთ დროს, ენერგიას, რისთვის შევალიეთ 25 წელი აბსტრაქტულ ლაპარაკს?!**

შედეგი? – არც ნატო, არც ევროკავშირი... სამაგიეროდ, ისეთი სიდუხჭირე, რაც „TV პირველის“ ეთერში ვიხილეთ.

სად არიან პარლამენტში მოკალათებული გამილიონერებული დეპუტატები, როგორ აღიქვამენ ტელევიზიით გადმოცემულ საშინელებას. სად არიან აჭარის ხელისუფალნი, ბათუმის მერია, ბიზნესმენები, სხვები და სხვები. რატომ არ ისმის მათი ხმა?! რამდენიმე მათგანს ან კოლექტიურად ასასი ლარი რომ გაელოთ, ბათუმის ან თბილისის უამრავი საავადმყოფოებიდან ერთერთში სამკურნალოდ გადმოეყვანათ ლოგინს მიჯაჭვული ბავშვი, რამე დააკლდებოდა მაქინაციებით მოხვეჭილ მათ ქონებას?!

ისინი და სხვები, რომელთა თვიური ხელფასი 30, 50, 80 ათას ლარს ითვლის, მათი ოჯახის წევრებისაც არანაკლებს, სხაპასხუპით ლაპარაკობენ წარმატებულ საქართველოზე, ბრტყელ-ბრტყელ სადღეგრძელოებს წარმოთქვამენ და თითო-ოროლა საჩვენებელი ობიექტით თვალს უბრმავებენ უცხოელებს. და თუ შემთხვევით დასავლელი სტუმარი რაიმე ნეგატიურს წააწყდა, მასპინძლებს მზა პასუხიც აქვთ – რუსეთის აგრესია, ოკუპაცია.

ცნობილია, რომ აჭარიდან ბავშვების თურქულ მედრესეებში სასწავლოდ გაგზავნა სამშობლოში დუხჭირი ცხოვრებითა და უპერსპექტივობით არის განპირობებული. მშობლები იძულებული არიან, გადადგან ეს ნაბიჯი. თურქეთში მედრესედამთავრებული მოზარდი თუ ვისი პატრიოტი გახდება, დიდი გამოცნობა არ სჭირდება.

კიდევ ერთი „სასიხარულო“ ამბავი გვაუწყა მედიამ – ამერიკის ბიუჯეტში საქართველოსთვის დახმარების მიზნით 132 მილიონი დოლარი გამოიყო! რაში დაიხარჯება ეს თანხა? დასავლური ინტეგრაციის მხარდასაჭერად, ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების შესასრულებლად, რუსეთის მხრიდან პოლიტიკურ-ეკონომიკური ზეგავლენის შესამცირებლად.

„სასიხარულო“ – ბრჭყალებში იმიტომ ჩავსვი, რომ აღნიშნული თანხა მოსახლეობის მძიმე სოციალური მდგომარეობის გამოსწორებისთვის სულაც არ არის გამიზნული. დასავლეთს, კერძოდ აშშ-ს ნაკლებად აინტერესებს ჩვენი ხალხის უკიდურესი გაჭირვება. მას ამ ხალხის მწყემსი ხელისუფლება და ოპოზიცია აინტერესებს, მათი კეთილდღეობა. სწორედ ისინი (დამფინანსებელთან ერთად) ქმნიან მონუსხულ წრეს – დამფინანსებელ-მიმღებს – ისევ დამფინანსებელს რომ აკავშირებს.

რუსული სიტყვა „ატკატები“ დამფინანსებელს რუსეთელებზე ადრე აქვს გამოგონილი. ხალხმა იცის ეს და ნაკლებ აღფრთოვანებას გამოხატავს. ის, მაშინ დაიჯერებდა ამერიკელთა ან სხვათა „გულუხვობას“, თუ ეს ფული უმუშევართა დასაქმების მოხმარდებოდა და მკაცრად გაკონტროლდებოდა მათ მიერ, თორემ ამ ვირტუალური საქმისთვის გამოყოფილი ფული მას რომ არ მოხმარდება, კარგად აქვს აღქმული. ანტირუსულ პროპაგანდაში დახარჯულმა ათეულ მილიონობით დოლარმა დაანახვა ეს.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲫᲕᲘᲠᲔᲑᲐ!

ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲠᲐᲜᲡ�პᲝᲠᲢᲖᲔ ფასები ნახტომისებურად გაიზარდა. ძვირდება არა მარტო მიკროავტობუსებით მგზავრობა, არამედ შორ მანძილზე მოძრავი კერძო ტაქსების მომსახურება. საწვავის ფასი ისევ მაღალ ნიშნულზეა და მისი გაიაფების შემდეგაც დიდი ალბათობით მგზავრობის ტარიფს არავინ გააიაფებს.

„დიდუბის ავტოვაგზლის“ ინფორმაციით, პირველი ოქტომბრიდან თბილისი-ტყიბულის მიმართულებით მგზავრობის ფასი 10-დან 14 ლარამდე გაიზარდა. ბოლო პერიოდში გაზრდილი ტარიფით მოძრაობენ სამეგრელოსა და იმერეთის მიმართულებით მოძრავი სხვა მიკროავტობუსებიც. მაგალითად, წალენჯიხის მიმართულებით მგზავრობის ფასი 15-დან 20 ლარამდე გაიზარდა, ხონის მიმართულებით კი — 12-დან 15 ლარამდე.

2018 წლის შემდეგ ჯერ არ გაძვირებულა თბილისი-ქუთაისის მიმართულება (12 ლარი); ასევე, 12 ლარი ღირს წყალტუბოში მგზავრობა. ბათუმის მიმართულებით კი, მგზავრობის ფასი 20 ლარია. რაც შეეხება თბილისი-გორის მიმართულებას, ამ ხაზზე მძღოლებმა მგზავრობის ფასი 3-დან 4 ლარამდე წელს, გაზაფხულზე გააძვირეს.

უფრო ადრე მოიმატა ფასმა ზუგდიდი-თბილისი-ზუგდიდის მიმართულებით მიკროავტობუსით მგზავრობაზე და ის ერთბაშად 5 ლარით გაძვირდა. კარგა ხანია, სადგურიდან მიმავალი ტრანსპორტის მგზავრებს 15-ის ნაცვლად 20 ლარის გადახდა უწევთ. როგორც მძღოლები ამბობენ, საწვავზე ფასის გაზრდის გამო იძულებული გახდნენ, მომსახურების ღირებულება თავადაც გაეზარდათ.

პირველად კი გაძვირების „სეზონი“ რუსთავი-თბილისის მიმართულებით მოძრავმა მიკროავტობუსებმა გახსნეს. ჯერ კიდევ აგვისტოში ორ ქალაქს შორის მიმოსვლის ტარიფი 30 თეთრით გაიზარდა და 1,80 ლარი გახდა.

როგორც „დიდუბის ავტოვაგზლის“ გენერალური დირექტორი **ნესტორ მიქატაძე** აცხადებს, ტარიფების გაზრდა მძღოლების მომართვის საფუძველზე მოხდა. მიზეზად კი, სავალუტო რყევა სახელდება.

ᲤᲐᲡᲘ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ

„ფასი დამოკიდებულია მძღოლებზე, რადგან მანქანა მათია და ხარჯებიც მათზეა. თუ მოითხოვენ ფასების ზრდას, ჩვენ წინ ვერ აღვუდგებით. ტყიბულის მიმართულებით მგზავრობა 10 ლარი ღირდა, მაგრამ 1 ოქტომბრიდან 14 ლარი გახდა. ტარიფების ზრდა შეთანხმებულად, სადგურებთან თანამშრომლობით ხდება. ამ გაძვირებას თვენახევრიანი კონსულტაციები უძღოდა წინ. გაყიდული ბილეთებიდან ჩვენ ვიტოვებთ მხოლოდ 20%-ს, დანარჩენი 80% არის მძღოლის, — განაცხადა „ბიემთან“ მიქატაძემ.

არა მარტო საქალაქთაშორისო ხაზებზე მოძრავი მირკოავტობუსებით მგზავრობა გაძვირდა, არამედ მომსახურების საფასური შეცვალეს კერძო ტაქსებმაც, რომლებიც შორ მანძილზე გადაადგილდებიან. მაგალითად, **რამდენიმე დღის წინათ თელავი-თბილისის მიმართულებით კერძო ტაქსით მგზავრობამ 3 ლარით მოიმატა. ადგილობრივების ინფორმაციით, 12 ლარის ნაცვლად თბილისში მგზავრობაში ახლა უკვე 15 ლარს იხდიან.**

ტაქსის მძღოლები მგზავრობის ღირებულების გაზრდას საწვავის გაძვირებას უკავშირებენ. თელავი-თბილისის მიმართულებით მგზავრობის ღირებულება ბოლო ერთი წლის განმავლობაში მეორედ შეიცვალა, თავდაპირველად 10-ის ნაცვლად 12 ლარი გახდა, ამჟამად კი 15 ლარი ღირს.

ᲑᲔᲥᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ

ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲙᲘᲚᲝᲒᲠᲐᲛᲘ ᲪᲘᲢᲠᲣᲡᲘ ᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

ᲐᲭᲐᲠᲐᲨᲘ ციტრუსის საკოორდინაციო შტაბი გაიხსნა. აჭარის მთავრობის ხელშეწყობით, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ციტრუსის ლოჯისტიკის, რეალიზაციის და სუბსიდირებისთვის უზრუნველყოფის მიზნით, რეგიონში ციტრუსის რეალიზაციის საკოორდინაციო შტაბი აამოქმედა, რომელიც გუშინ აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ თორნიკე რიჟვაძემ და აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ტიტე არაშიძემ გახსნეს.

„მალე ციტრუსის ნარინჯისფერი რთველი შევა აქტიურ ფაზაში და ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ დროულად გატარდეს ყველა ის ღონისძიება, რაც უზრუნველყოფს ციტრუსის ჩაბარებას და შემდგომ ექსპორტს. ჩვენი მიზანია, გარდა ტრადიციული საექსპორტო ბაზრებისა, პროდუქციის რეალიზაცია მოხდეს ევროპის რამდენიმე ქვეყანაში.

ჩვენ ვაგრძელებთ სუბსიდირების პროგრამას სამრეწველო მანდარინთან მიმართებაში და ვფიქრობთ, ეს მნიშვნელოვანია, რადგან აჭარაში თითოეული კილოგრამი ციტრუსი იყოს შესაბამისად კომპენსირებული.

აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით, სამრეწველო გადამუშავების (არასტანდარტულ) მანდარინზე სუბსიდია გაიცემა. საექსპორტო მანდარინს 30-მდე ციტრუსის მიმღებ-დამხარისხებელი საწარმო გადაამუშავებს. წელს საპროგნოზო მონაცემებით ციტრუსის მოსავალი 50-55 ათას ტონამდე იქნება.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲣᲪᲕᲔᲚᲘ 52 ᲝᲯᲐᲮᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲘᲡᲨᲘ ᲨᲔᲡᲐᲮᲚᲓᲐ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲨᲘ სოციალურად დაუცველმა, თავშესაფრის მაძიებელმა ოჯახებმა საცხოვრისი მიიღეს. 52 ოჯახი სპეციალურ საცხოვრისში გუშინ შესახლდა.

სოციალური საცხოვრისის მშენებლობა მე-11 მიკრორაიონში რუსთავის მერიამ 2018 წლის აპრილში დაიწყო და 2019 წლის მარტში დაასრულა. 2019 წლის თებერვალში შეიქმნა „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ უსახლკარო პირთა დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის კომისია“, რომელშიც ადგილობრივი მედიასაშუალებების, არასამთავრობო სექტორის, მერიის სოციალური სამსახურის წარმომადგენლები და ქალაქის საკრებულოს წევრები შედიოდნენ.

2018 წლის დეკემბერში რუსთავის საკრებულომ „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი“ დაამტკიცა. განისაზღვრა ბენეფიციართა შესარჩევი კრიტერიუმები. კომისიამ საკრებულოს მიერ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით შეარჩია სოციალურად დაუცველი, თავშესაფრის მაძიებელი 52 რუსთაველი ოჯახი.

ᲠᲐᲭᲐᲨᲘ ᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ...

ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 16 ოქტომბრის მდგომარეობით, რაჭაში 1440 ტონა ყურძენი — მუჯურეთული და ალექსანდროულია ჩაბარებული.

სააგენტოს ცნობით, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში დღეისათვის ღვინის მწარმოებელი 10 კომპანია ადგილობრივი მევენახეებისგან ყურძენს 18 ლოკაციაზე იბარებს.

ამასთან, როგორც სააგენტოში აცხადებენ, ამბროლაურში განთავსებული რთველის საკოორდინაციო შტაბი მობილიზებულია, რომ მოსავლის დაბინავების პროცესი ორგანიზებულად წარიმართოს.

ᲬᲔᲚᲡ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ...

...ᲐᲡᲔᲗᲘ შეფასებას აკეთებს რთვლის შტაბის ხელმძღვანელი ლევან მეხუზლა, ოპოზიციის აზრით კი, წლევანდელი რთველი არა მარტო რთული, ყველაზე წარუმატებელიცაა. მოსახლეობა ბიძინა ივანიშვილს მის მიერვე 2012 წელს გაკეთებულ განცხადებას შეახსენებს, რომლის მიხედვითაც, ერთი კილოგრამი ყურძენი ერთ ლარზე ნაკლები არ უნდა ღირებულიყო.

კახეთში რთველი დასასრულს მიუახლოვდა. მევენახეების ნაწილი ამბობს, რომ ბოლო ათწლეულის მანძილზე რქაწითელის ჯიშის ყურძენი ასეთი იაფი არ ყოფილა. **სეზონის განმავლობაში 1 კგ რქაწითელი 70 თეთრი ღირს.** ფასის გაზრდის მოთხოვნით აქციებიც გაიმართა, მაგრამ მევენახეების მოთხოვნა, ფასი ერთ ლარამდე გაზრდილიყო, კერძო და სახელმწიფო ღვინის კომპანიებმა არ დააკმაყოფილეს. კახელი მევენახეების ნაწილმა, როცა წლევანდელი რთველის შეფასება ვთხოვეთ, პირველ ყოვლისა, სწორედ ბიძინა ივანიშვილის ზემოხსენებული გამოსვლა გაიხსენა: **„კახეთში რამდენიც ჩამოვედი, ვამბობდი, როგორ შეიძლება ერთ ლარზე ნაკლები ფასი დაადო ყურძენს. თქვენ კარგად იცით, რომ ახლა ერთი ლარიც არ არის, არადა, რამდენი შრომა სჭირდება ყურძენს“,** — განაცხადა ივანიშვილმა 2012 წლის წინასაარჩევნო კამპანიის დროს მოსახლეობასთან შეხვედრისას.

ბიძინა ივანიშვილის ეს განცხადება კახეთში დღესაც კარგად ახსოვთ და ახლა თავადვე უსვამენ შეკითხვას ივანიშვილს, როგორ შეიძლება ყურძენი ერთ ლარზე ნაკლები ღირდეს, მაშინ როცა სუპერმარკეტებში ერთი ლიტრი წყალი ერთ ლარზე მეტი ღირსო.

„ბიძინა ბევრ რამეს შეგვპირდა, მაგალითად, გაზის და დენის ტარიფის დაკლებას, მერე კი, არ გამოგვივიდაო და, შესაბამისად, მევენახეებსაც მასე მოუბოდიშებს“.

„დემოკრატია კარგია, მაგრამ უნდა შეიძმნას კოლექტიური სამუშაო, თუნდაც სხვა სახელი ერქვას, და ამ კოლექტივს დაეხმაროს სახელმწიფო“.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲚᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ჩრდილოეთ კორეელი მუშები აფხაზეთში

აფხაზეთში უკვე აღარ უკვირთ ჩრდილოეთ კორეელი მუშების ყოფნა. ისინი ძირითადად მშენებლობებზე მუშაობენ.

ორი წლის წინ, 2017 წლის დეკემბერში, გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია ჩრდილოეთ კორეის შესახებ. შემოღებულ იქნა სანქციები, რომლებიც, სხვა მოთხოვნებთან ერთად, გაეროს წევრ ქვეყნებს უკრძალავს მათ ტერიტორიაზე ჩრდილოეთ კორეელი მუშახელის ყოლას. სანქციები ყველაზე მეტად შეეხო რუსეთსა და ჩინეთს, რომლებიც დიდი რაოდენობით ჩრდილოეთ კორეელებს ასაქმებდნენ.

მოსკოვმა ამ პრობლემის მოსაგვარებლად მარტივ გზას მიმართა: დაიწყო ჩრდილოეთ კორეელი მუშების გაგზავნა საკუთარი ტერიტორიიდან იმ რეგიონებში, სადაც გავლენა აქვს და სადაც, ფაქტობრივ, არ მოქმედებს გაეროს სანქციები.

როგორც Washington Post-ში 13 ოქტომბერს გამოქვეყნებული სტატიის ავტორი ეიმი ფერის-როტმანი წერს, ამით მოსკოვი სტრატეგიულ თამაშს ეწევა: **„კრემლს იმედი აქვს, რომ აფხაზეთში მცირე რაოდენობის მუშების გაგზავნა მას დაეხმარება კიმ ჩენ ინის რეჟიმის გულის მოგებაში მაშინ, როცა მოსკოვი ცდილობს, გააძლიეროს აზიაში გავლენა.“**

აფხაზეთში დაახლოებით 400 ჩრდილოეთ კორეელი მუშა მუშაობს, ძირითადად მამაკაცები, რომლებსაც სამშობლოში დატოვებული ოჯახები ჰყავთ სარჩენი. ისინი ძირითადად სოხუმში მუშაობენ და აშენებენ საცხოვრებელ სახლებს და კომერციულ ნაგებობებს, აგებენ რკინიგზის ლიანდაგს.

თავად რუსეთში 10 ათასამდე ჩრდილოეთ კორეელი მუშაა დარჩენილი. 22 დეკემბრამდე მათ უნდა დატოვონ ქვეყნის ტერიტორია.

აფხაზეთში მომუშავე 400 მუშა ზღვაში წვეთია, თუ გავითვალისწინებთ, რომ, როგორც Washington Post-ი იტყობინება, **მსოფლიო მასშტაბით 100 000-მდე ჩრდილოეთ კორეელი მუშა მუშაობს საზღვარგარეთ. ისინი წელიწადში 500 მილიონამდე დოლარს აგზავნიან სახლში.**

მაგრამ არც რუსეთის და არც, მით უმეტეს, აფხაზეთის შემთხვევაში მუშების რაოდენობა არ არის გადამწყვეტი. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკიდან ე.წ. „გასტარბაიტერების“ ჩამოყვანა პოლიტიკის სფეროს უფრო განეკუთვნება, ვიდრე ეკონომიკისას. მოსკოვისთვის ეს ფხენიანთან სასიცოცხლო კავშირების შენარჩუნების ერთ-ერთი გზა არის.

კრემლი „ზედმიწევნით ასრულებს საერთაშორისო სანქციების რეჟიმით გათვალისწინებულ მოვალეობებს“, უთხრა Washington Post-ს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერმა მარია ზახაროვამ და დასძინა, აფხაზეთში ჩრდილოეთ კორეელი მუშების ყოფნას რაც შეეხება, ეს, ჯობია, შესაბამის სახელმწიფოსთან ან დამქირავებელთან გაარკვიეთო.

„აფხაზეთი ცდილობს, თავი დამოუკიდებელ რესპუბლიკად წარმოადგინოს, მაგრამ ეს შორსაა რეალობისგან. გასეირნება სოხუმის ცენტრში, სადაც რუსეთის საელჩოს ახალაშენებული შენობა კაშკაშებს მზეში, ნათელყოფს, ვინ განაგებს აფხაზეთის საქმეებს“, — შენიშნავს Washington Post-ი.

გამოცემა ესაუბრა რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში, სახალინზე მოქმედ კონტრაქტორს, იური დიაკოვს, რომელიც ჩრდილოეთ კორეელი მუშების დაქირავებით არის დაკავებული. მის მიერ დაქირავებული 1000 მუშიდან ახლა სახალინზე მხოლოდ 120-ღა დარჩა. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში 90 ადამიანი გაემგზავრა აფხაზეთში. დიაკოვი მათ იქ მშენებლობებზე სამუშაოს პოვნაში ეხმარებოდა.

„გული მწყდება მათზე. არ არის კარგი, ამ სანქციების გამო რომ გვიწევს უცებ ჩვენი მეგობრების თავიდან მოშორება,“ — ამბობს დიაკოვი.

წელს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა და ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა კიმ ჩენ ინმა მოსკოვში გამართეს შეხვედრა. ამ შეხვედრის მთავარი მიზანი იყო, ვაშინგტონისთვის ეჩვენებინა, რომ სხვა მოთამაშეებისთვისაც არის საჭირო ანგარიშის გაწევა, როცა კორეის ნახევარკუნძულის დენუკლეარიზაციას ეხება საქმე.

თუმცა, ამავე დროს, უკანასკნელი თვეების განმავლობაში მოსკოვსა და ფხენიანს შორის ურთიერთობებში დაძაბულობამაც იჩინა თავი.

ათასობით ჩრდილოეთ კორეული თევზსაჭერი ხომალდი უკანონოდ თევზაობს რუსეთის კუთვნილ წყლებში. ამის გამო ბოლო ხანებში უკვე რამდენჯერმე მოხდა შეიარაღებული ინციდენტი, იყო მსხვერპლიც.

„მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნაკლებ სავარაუდოა, მოსკოვმა ზურგი შეაქციოს ცივი ომის დროინდელ მოკავშირეს“, აღნიშნავს ეიმი ფერის-როტმანი სტატიაში გრძელი სათაურით: **„როგორ აღწევენ ჩრდილოეთ კორეელი მუშები სეპარატისტულ აფხაზეთში, პლაჟებისა და საბჭოთა რელიკვიების გარემოცვაში“.**

„რუსეთის მთავრობისთვის მნიშვნელოვანია, ეკონომიკური კავშირების დამყარებაში დაეხმაროს ჩრდილოეთ კორეასა და აფხაზეთს. პირველი არის ავაზაკი სახელმწიფო, მეორე კი მთლიანად დამოკიდებულია მოსკოვის მოწყალებაზე,“ — უთხრა Washington Post-ს **ალექსანდრე მელიქიშვილმა,** VHS Markit-ის წამყვანმა ანალიტიკოსმა.

როგორც Washington Post-ი შენიშნავს, აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკა ცდილობს, განავითაროს ეკონომიკური კავშირები სხვა სახელმწიფოებთანაც, რომლებსაც ზურგს აქცევს საერთაშორისო თანამეგობრობა და მხარს უჭერს რუსეთი. მათ შორისაა სირია და აღმოსავლეთ უკრაინის სეპარატისტული რეგიონები. მაგრამ ფხენიანის შემთხვევაში საქმე სხვაგვარადაა, ირწმუნებიან აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში — ჩრდილოეთ კორეელები თვითონ მოვიდნენ ჩვენთანო.

„ისინი დაგვიკავშირდნენ და შემოგვთავაზეს იაფი მუშახელი,“ ამბობს თაიმლა მერცხულავა, **აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის სავაჭრო და სამრეწველო პალატის ხელმძღვანელი, რომელიც შარშან ესტუმრა ფხენიანს. „ესაა ის, რის ექსპორტიც შეუძლიათ.“**

რამდენიმე თვის შემდეგ ჩრდილოეთ კორეის დელეგაცია ესტუმრა აფხაზეთს. როგორც Washington Post-ი აღნიშნავს, სტუმრებმა დააგემოვნეს ღვინო, კივი და მანდარინი. მაგრამ ვიზიტისას ყველაზე უფრო მეტად მოსწონებიათ ექსკურსია სტალინის აგარაკზე.

WWW.RADIOTAVISULEBA.GE

ილია ბერუაშვილმა საბოლოოდ დაამტკიცა, რომ მისი ნაკვეთი ოკუპირებული არ არის

სოფელ დიცის მცხოვრები ილია ბერუაშვილი მალე შეძლებს საოკუპაციო გამყოფ ხაზთან მდებარე მიწის ნაკვეთის საკუთრებაში დარეგისტრირებას. აქამდე ის ვერ ახერხებდა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, რომელსაც, წლებია, მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის თხოვნით მიმართავდა, დაერწმუნებინა, რომ ეს ნაკვეთი საქართველოს ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზეა და ოკუპაციის ხაზს მიღმა მოქცეული არ არის.

ბერუაშვილმა საჯარო რეესტრს ჯერ გორის რაიონულ სასამართლოში მოუგო, შემდეგ კი სააპელაციოშიც გაიმარჯვა. ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ რეესტრი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას უზენაეს სასამართლოში აღარ გაასაჩივრებს და ბერუაშვილს მიწის ნაკვეთს დაურეგისტრირებს.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საოკუპაციო ძალების წარმომადგენლები ბერუაშვილის მიწის ნაკვეთთანაც მივიდნენ და მისი შემოღობვა მოინდომეს, კონფლიქტი ფიზიკურ დაპირისპირებამდეც კი მივიდა. ბერუაშვილმა საერთაშორისო დამკვირვებლები და ჟურნალისტებიც ჩართო საქმეში და საოკუპაციო ძალებს დაუმტკიცა, რომ მიწა მისი საკუთრებაა და ეს მიწა გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს, მაგრამ ამაში საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დარწმუნება თითქმის 4 წლის განმავლობაში ვერ შეძლო.

2018 წლიდან ილია ბერუაშვილის ინტერესებს ადამიანის უფლებათა ცენტრი იცავს. შესაბამისი სარჩელები ცენტრის იურისტმა ლექსო მერებაშვილმა მოამზადა. 2019 წლის ივნისში თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საჩივარი და ძალაში დატოვა გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, სააგენტოს საოკუპაციო ხაზთან მდებარე ნაკვეთის ილია ბერუაშვილის საკუთრებაში დარეგისტრირება დაევალა. ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტი ლექსო მერებაშვილი მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების აღსრულება ახლო მომავალში დაიწყება.

ილია ბერუაშვილს 4 წელი დასჭირდა იმისთვის, რომ სახლი და მიწის ნაკვეთი სასამართლოს ძალით საკუთრებაში დაერეგისტრირებინა. მსგავს მდგომარეობაში ოკუპაციის ხაზთან მცხოვრები არაერთი ადამიანია, ვისაც მიწა საკუთრებაში არა აქვს, საოკუპაციო ძალა კი მცოცავ ოკუპაციას კვლავ აგრძელებს. გუგუტიანთკარი და ჩორჩანა ამის ნათელი მაგალითია. ბერუაშვილს საოკუპაციო ბანერებს შორის მოქცეული მიწის ნაკვეთის საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა მალე ხელთ ექნება და, თუ საოკუპაციო ძალა მის ნაკვეთში გადმოიწევს და შემოღობავს, ის საკუთრების უფლების დასაცავად რუსეთს უკვე სტრასბურგის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოში უჩივლებს. დიცელი ფერმერი ფიქრობს, რომ ამ გზით მცოცავ ოკუპაციას საკუთარ ნაკვეთთან მაინც შეაჩერებს.

გოგა აფციაური

ტრამპს, პრეზიდენტად თუ კიდევ აირჩევენ, ნატო აღარ იარსებებს

აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი დემოკრატიული პარტიიდან, ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენი მიიჩნევს, რომ 2020 წელს დონალდ ტრამპის ხელახლა არჩევის შემთხვევაში ნატო არსებობას შეწყვეტს.

„თუ მას (ტრამპს) კიდევ აირჩევენ, გპირდებით, რომ არ იარსებებს არანაირი ნატო... ჩვენ გაგვიჩნდება უამრავი პრობლემა“, — განაცხადა ბაიდენმა პრეზიდენტობის კანდიდატების დებატებზე.

მან ტრამპს „ექსცენტრიული, შეშლილი პრეზიდენტი“ უწოდა, რომელსაც მისი აზრით, არაფერი ესმის საგარეო პოლიტიკაში და „მოქმედებს საკუთარი ხელახალი არჩევის შიშის ქვეშ“.

ამასთან, ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ტრამპი აკრიტიკებდა ნატოს და იმავე დროს პოზიტიურად მოიხსენიებდა რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს. კონგრესში დემოკრატებმა დაიწყეს ტრამპის იმპიჩმენტის პროცედურა. მათ პრეზიდენტი პირადი პოლიტიკური მიზნების გამოყენებასა და უკრაინის ხელისუფლების ზეწოლაში დაადანაშაულეს.

თურქეთს აშშ-ის მუქარა არ აშფოთებს...

თურქეთის **პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ეროდღანის თქმით, აშშ-ის მუქარა, სანქციების დაწესების შესახებ, თურქეთს არ აშფოთებს და სამხედრო ოპერაციას გააგრძელებს. ეს განცხადება თურქეთის ლიდერმა აზერბაიჯანში ვიზიტის დასრულების შემდეგ გააკეთა.**

„ჩვენი მიზანი ნათელია და ჩვენ არ ვშფოთავთ რაიმე სანქციების დაწესების გამო. სირიელი ქურთი მებრძოლები ძალიან სწრაფად კარგავენ პოზიციებს. ჩვენი მიზანია, ტერორისტები თურქეთის საზღვრიდან 32 კილომეტრში განვდევნოთ. ტერორისტებთან მოლაპარაკებებს არ ვაწარმოებთ,“ — განაცხადა ერდოღანმა.

აშშ-მა თურქეთს სანქციები 14 ოქტომბერს დაუწესა. ამის მიზეზად აშშ-ში თურქეთის მიერ სირიაში წამოწყებული სამხედრო ოპერაცია დაასახელეს.

კატალონიელების „საუკუნის სასამართლო“

ესპანეთის უზენაესმა სასამართლომ კატალონიის ცხრა სეპარატისტ ლიდერს 9-დან 13 წლამდე ვადით მიუსაჯა პატიმრობა იმ როლისთვის, რომელიც მათ რეგიონის დამოუკიდებლობის წარუმატებელ კამპანიაში შეასრულეს. სასამართლოს გადაწყვეტილებას საპროტესტო აქციები მოჰყვა კატალონიაში. ბუნდოვანია კონფლიქტის სამომავლო პერსპექტივა.

ვერდიქტები, რომელთაც დიდი ხნის განმავლობაში ელოდნენ, ნაკლებია პროკურორების მიერ მოთხოვნილ სასჯელებზე (კატალონიის ყოფილ ვიცე-პრეზიდენტ ორიოლ ჟუნკერასისთვის, მაგალითად, 25 წლით სურდათ პატიმრობის მისჯა, ამბოხების ბრალდებით). უმძიმესი ბრალდება – ამბოხება – ყველა განსასჯელს მოეხსნა. ის განმარტებულია, როგორც „ძალადობრივი, ან საჯარო ამბოხება“, მათ შორის „(ესპანეთის) ტერიტორიის ნაწილის დამოუკიდებლობის გამოცხადებისთვის“.

განსასჯელთა შორის ჟუნკერასს ყველაზე ხანგრძლივი ვადით – 13 წლით, შეეფარდა პატიმრობა. სასამართლომ მას და კიდევ რვა ლიდერს დაუმტკიცა „ამბოხებაზე“ შედარებით ნაკლები დანაშაული: შფოთისა და არეულობის გამოწვევა, ანუ დამკვიდრებული წესრიგის წინააღმდეგ მასობრივად გამოსვლა და კანონის ან ადმინისტრაციული გადაწყვეტილების განხორციელებისთვის ძალით ან უკანონოდ ხელის შეშლა.

კიდევ სამი განსასჯელი მხოლოდ დაუმორჩილებლობაში ცნეს დამნაშავედ და მათთვის პატიმრობა არ მიუსჯიათ.



შეფასებები და პროტესტი

ესპანეთის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის პედრო სანჩესის თქმით, ლიდერთა დაპატიმრება ნიშნავს დამოუკიდებლობის მოძრაობის მარცხს. ამ კამპანიას ესპანეთში ყველაზე მძიმე პოლიტიკური კრიზისი მოჰყვა დიქტატორ ფრანსისკო ფრანკოს გარდაცვალებისთანავე.

მაგრამ როგორც კი მადრიდში სასამართლომ განაჩენები გამოაცხადა, ბარსელონის აეროპორტისკენ დაიძრა დემონსტრანტების ტალღა, რომელმაც გადაკეტა გზები და ამ ჩრდილო-დასავლეთის რეგიონის რამდენიმე ადგილას მოძრაობა გააჩერა. საპროტესტო აქციების ძალა შესაძლოა, იყოს პირველი ინდიკატორი იმისა, თუ როგორ გამოიყურება დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის მომავალი. ეს ბრძოლა ბოლო დრომდე დიდწილად მშვიდობიანი იყო. კვლავ გადაუჭრელად რჩება საკითხი, რა უნდა მოუხერხოს ესპანეთმა სეპარატისტულ მოძრაობას, რომელსაც კატალონიის მოსახლეობის თითქმის ნახევარი უჭერს მხარს.

„ეს განაჩენი არის თავდასხმა დემოკრატიასა და ყველა მოქალაქის უფლებებზე“, – განაცხადა კატალონიის პარლამენტის პრეზიდენტმა როჟერ ტორენმა, და დასძინა: „დღეს ყველა ჩვენგანს გამოუტანეს განაჩენი, არა მხოლოდ 12 ადამიანს“.

ბრალდებების შინაარსი

განსასჯელთა ბრალდებები უკავშირდებოდა კატალონიის რეფერენდუმს დამოუკიდებლობის შესახებ, რომელიც რეგიონულმა ხელისუფლებამ 2017 წლის 1 ოქტომბერს გამართა, მიუხედავად ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების გადაწყვეტილებისა, რომ რეფერენდუმი უკანონო იყო.

ბარსელონის მომცველი ესპანეთის ამ მდიდარი ჩრდილო-აღმოსავლეთის რეგიონის სეპარატისტმა კანონმდებლებმა რეფერენდუმიდან 26 დღის შემდეგ დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, თუმცა საერთაშორისო აღიარება ვერ მოიპოვეს. რამდენიმე საათში ესპანეთის მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა მარიანო რახოიმ დაშალა კატალონიის პარლამენტი, დაითხოვა რეგიონის პრეზიდენტი და მთავრობა და მათი უფლებამოსილება მადრიდში გადაიტანა. რეგიონის მაშინდელმა პრეზიდენტმა კარლეს პუჩდემონმა, ესპანეთი რამდენიმე ოფიციალურ პირთან ერთად დატოვა და 31 ოქტომბერს ბრიუსელში ჩავიდა. ის გერმანიაში დააკავეს, თუმცა ექსტრადიცია ასცდა, რადგან გერმანიის სასამართლომ უარი თქვა გადაეცა ის ესპანეთისთვის, სადაც მას ამბოხების ბრალდება ემუქრებოდა.

სასამართლოს 14 ოქტომბრის გადაწყვეტილებას პუჩდემონმა „აღმაშფოთებელი“ უწოდა. „ახლა, როგორც არასდროს, არის რეაგირების დრო“, – წერს ის ტვიტერით. რამდენიმე კვირაში ესპანეთში არჩევნებია დანიშნული, რაც კატალონიის საკითხს კიდევ ერთხელ აქცევს პოლიტიკური დებატების ცენტრში.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს საერთაშორისო მნიშვნელობის E-70 ჩქაროსნული საავტომობილო გზის გრიგოლეთი - ქობულეთის შემოსავლელი საავტომობილო გზის (კმ0+000 - კმ14+400) მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქე: მაია კუხალაშვილის (პ/ნ 62001023481) საკუთრებაში არსებული, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ურეკში მდებარე, არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ №26.28.16.031 მთლიანი ფართით 200 კვ. მეტრი.

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მოქალაქე მაია კუხალაშვილთან (პ/ნ 62001023481) ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება უძრავი ქონების - 200 კვ.მეტრი მიწის ნაკვეთის მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები. „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, 2019 წლის 3 აპრილის №1-1/155 ბრძანებით დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება უძრავ ქონებაზე მდებარე ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ურეკი საკადასტრო კოდი 26.28.16.031, მესაკუთრე მაია კუხალაშვილი (პ/ნ 62001023481), საექსპროპრიაციო ფართი 200 კვ.მ.

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ურეკში მდებარე, მოქალაქე მაია კუხალაშვილი (პ/ნ 62001023481) საკუთრებაში არსებულ (ს/კ №26.28.16.031) არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების 200 კვ. მეტრი (მთლიანი) ფართობის მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელ გრიგოლეთში მდებარე, მოქალაქე ქემალ ალთუნის (პ/ნ 59860351838) საკუთრებაში არსებული (ს/კ №27.15.57.005) არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების 4954 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან - 2371 კვ. მ მიწის ნაკვეთი.

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მოქალაქე ქემალ ალთუნთან (პ/ნ 59860351838) ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება უძრავი ქონების - 4954 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ №27.15.57.005) ნაწილის 2371 კვ.მ.-ის მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები. „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, 2019 წლის 3 აპრილის №1-1/154 ბრძანებით დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელ გრიგოლეთში მდებარე, მოქალაქე ქემალ ალთუნის (პ/ნ 59860351838) საკუთრებაში არსებულ (ს/კ №27.15.57.005) არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების 4954 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან - 2371 კვ. მ მიწის ნაკვეთზე.

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელ გრიგოლეთში მდებარე, მოქალაქე ქემალ ალთუნის (პ/ნ 59860351838) საკუთრებაში არსებულ (ს/კ №27.15.57.005) არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების 4954 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან - 2371 კვ. მ მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

◎ ლეგიონერები

როგორც იქნა...

სავიზო პრობლემებისა და ტრავმით გამოწვეული იძულებითი მკურნალობის გამო რამდენჯერმე გადადებული დებიუტი, როგორც იქნა, შედგა – გოგა ბითაძემ პირველად მოირგო „ინდიანა პეის ერზის“ მაისური.

ჩვენმა ახალგაზრდა თანამემამულემ ჩინებულად ჩაატარა წინასასეზონო მატჩი ნბა-ს შარშანდელი რეგულარულის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდ „მინესოტა ტიმბერვულვზის“ წინააღმდეგ და ორივე კლუბის მოთამაშეებს შორის ყველაზე მეტი – 14 ქულით შეეწია ახალ პარტნიორებს.

„ჯვაროსნის“ მონაგარი 6-დან ჩაგბეულმა 4-მა ორქულიანმა და 3-დან ჩაგდებულმა 2-მა სამქულიანმა შეადგინა.

რაც შეეხება ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის, ჩემპიონატს, იგი სტარტს 23 ოქტომბერს აიღებს, ნეიტ მაკმილანის შეგირდები კი პირველ ბრძოლას 24 ოქტომბერს „დეტროიტ პისტონზთან“ გამართავენ.

ჩემპიონთა ლიგის სასტარტო შეხვედრაში შთამბეჭდავი სპექტაკლი დადგა საქართ-

დიდი მანევრები დიდ ნოვგოროდთან

ველოს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი შერმადინმა.

„ტენერიფე იბეროსტარის“ ცენტრმა საკუთარ პარკეტზე რუსულ „ნიჟნი ნოვგოროდთან“ მატჩში გატარებულ 24 წუთში 24 ქულა, 9 მოხსნა, 3 პასი და თითო ჩაჭრა – დაფარება მოაგროვა, მისმა მარგი ქმედების კოეფიციენტმა კი საუკეთესო ნიშნულს უწია – 29!

ბუნებრივია, გიოს ასეთმა „სოლომ“ მნიშვნელოვანწილად განაპირობა მასპინძელთა გამარჯვება – 81:67.

მეორე ტურში კუნძულელები 22 ოქტომბერს მონტენეგროში „მორნარს“ეწვევიან.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

უკვე – უჩვენოდ

მართალია, „ბორჯღალოსანთათვის“ წლევანდელი მსოფლიო თასი ვადამდე დასრულდა, მაგრამ, ტაიფუნისა და ნგრევა-მსხვერპლის მიუხედავად, იაპონური ფორუმი გრძელდება და კიდევ მრავალ საინტერესოს ჰპირდება გულშემატკივარს.

ეს სათქმელადაა ადვილი – ბიჭებმა ოთხლწეულის მთავარი ტურნირი ჩააფლავესო, თორემ, დაგვეთანხმებით, ძნელი გადასატანია, როცა წარმატებებს მიჩვეულ ქომაგს სამშობლოში თავდახრილ კერპებთან მოუწევთ დახვედრა.

კი ბატონო, ძველი ჭეშმარიტებაა – მოგება და წაგება ძმები არიანო, მაგრამ ვიმეორებთ – გვერჩია, ეს სტერეოტიპი ამჯერადაც დამსხვრეულიყო და საქართველოს ეროვნულ ნაკრებს, მინიმუმი, ორი გამარჯვება მოეპოვებინა, რაც ავტომატურად მოუტანდა საფრანგეთში 2023 წელს გასამართავი მორიგი მსოფლიო თასის საგზურს.

ვიმედოვნებთ, გაუთვალისწინებელი იმედგაცრუების მიზეზებსა და ობიექტურ-სუბიექტურ მსჯელობას ემოციების დაცხრობის შემდეგ მოვისმენთ, მანამდე კი განსხვავებული ხასიათის ორ ინფორმაციას გაეცანით:

დადებითი: ავსტრალიასთან ჯგუფური ეტაპის დასკვნით შეხვედრაში ჩვენმა გუნდმა სარეკორდო – 218 ბოჭვა შეასრულა.

უარყოფითი (გარდაუვალი): საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ვალმოხდილნი დაემშვიდობნენ მილტონ ჰეიგი, მამუკა გორგოძე და გიორგი ნემსაძე, რომლებმაც სანაკრებო კარიერა დაასრულეს.

მადლობა მათ!

რაც შეეხება მეოთხედფინალურ მატჩებს, მათი გაძღოლის პატივი მსაჯთა შემდეგ ბრიგადებს ხვდა წილად:

19 ოქტომბერი

ინგლისი – ავსტრალია – ჟერომ გარსეზი (არბიტრი), რომან პუატი, მატიე რენალი (ასისტენტები, საფრანგეთი).

ახალი ზელანდია – ირლანდია – ნაიჯელ ოუენსი (არბიტრი, უელსი), ანგუს გარდნერი (ასისტენტი, ავსტრალია), პასკალ გოზერი (ასისტენტი, საფრანგეთი).

20 ოქტომბერი

საფრანგეთი – უელსი – იაკო ეიპერი (არბიტრი, სამხრეთი აფრიკა), ნიკ ბერი (ასისტენტი, ავსტრალია), პოლ უილიამსი (ასისტენტი, ახალი ზელანდია).

იაპონია – სამხრეთი აფრიკა – უეინ ბარნსი (არბიტრი, ინგლისი), ბენ ოკიფი (ასისტენტი, ახალი ზელანდია), ლუკ პირსი (ასისტენტი, ინგლისი).

კოგა კოგახიძე

◎ ახალი ხილი

შესანიშნავი კვარტეტი

4 მონაწილე, 4მედალი – აქედან 2 „ოქრო“ და თითო „ვერცხლ-ბრინჯაო“ – ასეთი ღირსეული შედეგით დაასრულა გამოსვლა ქართულმა დელეგაციამ (ხელმძღვანელი – სეოკ-ის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი), ყატარის დედაქალაქ დოჰაში გამართულ ქვიშის პირველ თამაშებზე. შეგახსენებთ, რომ „ჯვაროსნები“ მხოლოდ ჭიდაობაში ასპარეზობდნენ.

უკვე გაუწყეთ, რომ ფორუმის სტარტზე კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ლევან ქელეხსაშვილი (70 კგ), ავიდა, ხოლო დავით მარსაგიშვილმა (90 კგ) მეორე ადგილი დაიკავა. პარტნიორებს კარგად აუბეს მხარი დანარჩენმა ჩვენმა ფალავნებმაც. განსაკუთრებით ივაჟკაცა საგარეჯოელმა ევროპისა და მსოფლიოს მესამე პრიზიორმა დავით ხუციშვილმა (80 კგ), რომელმაც მეორე „ოქრო“ მოგვიტანა. მან ჩილელი, ესპანელი, რუმინელი და თურქი მეტოქეები ერთნაირი ანგარიშით – 3:0 დაამარცხა, აზერბაიჯანელ იბრაჰიმ იუსუბოვს კი ჯერ ჯგუფურ რაუნდში დაუზავდა – 0:0, ხოლო ფინალში 5:1 დაჯაბნა.

რაც შეეხება „ბრინჯაოს“, მისი მფლობელი მამუკა კორძაია (+90 კგ) გახდა.

ბეჟან დოლიძე

◎ ფეხბურთი

დაღმართიც, აღმართიც...

აძსიომაა – პროგრესის მისაღწევად პრიორიტეტები უნდა დასახო და შემდეგ ნაბიჯ-ნაბიჯ შეუყვე მიზნისკენ მიმავალ ბილიკს.

როგორაა ამ მხრივ, ზოგადად, ქართული ფეხბურთისა და, კონკრეტულად, ეროვნულ ნაკრებად წოდებული რაღაც უსისტემო ერთობლიობის საქმე?

ჩვენი თაობა მაშინ ეზიარა სპორტის ყველაზე პოპულარული და საყვარელი სახეობის საიდუმლოებებს, როცა ჩავარდნის პერიოდებშიც კი თბილისის „დინამოს“ შემტევი სტილი გამოარჩევდა, რომ აღარაფერი ვთქვათ აღზევების ხანაში მოპოვებულ წარმატებებსა და მათ თანამდევ „გოლების წვიმაზე“.

ნათქვამი კია, გემოვნებაზე არ დავობენო, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა ქართველ გულშემატკივარს ძნელად თუ შეუცვლი მენტალიტეტს და ანტიფეხბურთის ქომაგად აქცევ.

სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრების სათავეში თემურ ქეცბაიას მოღვაწეობის პერიოდიდან მოყოლებული, ჩვენი გუნდი მეთოდურად გადადის თამაშის ახალ რელსებზე და უპირატესობას დაცვას ანიჭებს. საკითხავია, როგორ?

უკანასკნელ კვირათა განმავლობაში ყურები გამოგვიჭედეს ვლადიმირ ვაისის შეგირდთა ქებით – დანიასა და ირლანდიას სამაგალითო ტაქტიკით ვებრძოლეთ და ბურთი არ გავატანინეთო.

ასეთი შეფასება რომ მირაჟი იყო, ევრო – 2020-ის შესარჩევი ტურნირის მეშვიდე ტურში დადასტურდა, როცა მანამდე მთელი საკვალიფიკაციო ციკლის მანძილზე „მშრალად“ მოძუნძულე მოყვარულებით – პოლიციელებით, მებაჟეებით, ფოსტალიონებითა და ასე შემდეგ – დაკომპლექტებულმა გიბრალტარის ნაკრებმა საქვეყნო სირცხვილი გვაჭამა, შესვენების შემდეგ ჭირის ოფლში გაგვწურა, ორბურთიანი ჰანდიკაპი გაგვიბათილა და კინაღამ პირველი ქულა მოიპოვა.

რა თქმა უნდა, მივესალმებით შენგელიას დიდოსტატურ გადაცემებს, კაპიტან კანკავას მორიგ შედევრსა და ხარაიშვილის ნაგვიანევ შედეგიან დებიუტს, ბედის ირონიით, მძიმე ტრავმით რომ დასრულდა, მაგრამ ამით საერთო სურათი არ იცვლება – თურმე, არც უკანახაზელებს ჰქონიათ საქმე სატრაბახოდ.

ჰოდა, რაღა უნდა ვთქვათ ვითომ მოიერიშეებზე, ზემოთ უკვე ნახსენებ საშინაო მატჩებში მეტოქეთა კარში ერთი ზუსტი დარტყმაც რომ ვერ შეძლეს?

ასე რომ, მოდით, შევეშვათ თავის მოტყუებას და თეთრს თეთრი ვუწოდოთ და შავს – შავი, თუკი საერთოდ არ დავაგვიანეთ.

საბედნიეროდ, მთლად წყალწაღებულნიც არ ვყოფილვართ: **რამაზ სვანიძის გაწვრთნილმა საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ტრიუმფით დაასრულა უნგრეთში გამართული ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი და ელიტ-რაუნდში ითამაშებს.**

ჩვენმა ჭაბუკებმა სამივე შეხვედრა დამაჯერებლად მოიგეს – მასპინძლებთან – 4:2, ყაზახებთან – 3:1, ხორვატებთან – 2:0, ქულათა მაქსიმუმი მოაგროვეს და პირველი ადგილი დაიკავეს.

ვულოცავთ!

გიორგი შოთაძე

პაატა იმნაძე:
საქართველოში გრიპის ვირუსის გავრცელების განსაკუთრებული ნიშნები არ არის

საქართველოში გრიპის ვირუსის რამე განსაკუთრებული ნიშნები ამ დროისთვის არ არსებობს და სამომავლოდაც ვირუსის გავრცელების განსაკუთრებულ საშიშროებებს არ ველოდებით, — ამის შესახებ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ პაატა იმნაძემ განაცხადა.



როგორც მან განმარტა, ბოლო პერიოდში საქართველოში ორი სახის: ადენო და რინო ვირუსები დომინირებს, თუმცა გასული წლის მონაცემებს არ აღემატება, ამ მხრივ, საშემოდგომო პერიოდისთვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი ვითარებაა და მოსახლეობისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს.

იმნაძის თქმით, ვირუსის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, მოქალაქეებმა ექიმს უნდა მიმართონ და მის მითითებებს დაექვემდებარონ. ამასთან, ტიპური ვირუსებისთვის დამახასიათებელია გაცივება, ტემპერატურის მომატება, რომელიც კონტროლირებადია.

წყალტუბოს საკრებულოს ყოფილ თავმჯდომარეს მაწანწალა აფერისტი ინვესტორად გაეცნო...

პირი, რომელიც ირანელ ინვესტორად გამეცნო, არის მაწანწალა აფერისტი და ის არ არის ინვესტორი, — ამის შესახებ წყალტუბოს საკრებულოს ყოფილმა თავმჯდომარემ გრიგოლ ივანეიშვილმა ჩვენების მიცემისას თბილისის საქალაქო სასამართლოში განაცხადა და მიუთითა, რომ ის პროვოცირებული დანაშაულის და შეთქმულების მსხვერპლია.

საუბარია საქმის ფიგურანტ ირანელ ინვესტორზე, რომლისგანაც გამოძიების მტკიცებით, ივანეიშვილმა წყალტუბოს საკრებულოს შენობის აუქციონზე წინასწარი შეთანხმებით და სასურველი პირობებით გატანის სანაცვლოდ დიდი ოდენობით ქრთამი აიღო.

„მოვა დრო, ეს ყველაფერი დადასტურდება. ეს ადამიანი არ იყო ინვესტორი. მე ამას დავადასტურებ“, — განაცხადა ივანეიშვილმა. ბრალდებულის თქმით, ის უდანაშაულოა, ქრთამთან შეხება არასოდეს ჰქონია, მაშინაც კი როდესაც ხელფასი 40 ლარი ჰქონდა.

„დანაშაულის შენიღბვის მიზნით, გრიგოლ ივანეიშვილმა უცხოელ ბიზნესმენთან გააფორმა ფიქტიური სესხის ხელშეკრულება და ამ უკანასკნელს 250 ათასი ლარი თავისი შვილის ანგარიშზე ჩაარიცხინა. აღნიშნული გადარიცხვის შემდეგ, 2019 წლის 25 იანვარს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გრიგოლ ივანეიშვილი სუს-ის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა დააკავეს“, — აღნიშნულია საგამოძიებო უწყების განცხადებაში.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო გამოძიებას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით აწარმოებს, რაც განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღებას გულისხმობს.

ბათუმის ყოფილი მერი გიორგი ერმაკოვი პატიმრობაში დატოვეს

მოსამართლე **დავით მამისეიშვილმა არ დააკმაყოფილა ერმაკოვისა და პატიმრობაში მყოფი მერიის კიდევ ორი ყოფილი მაღალჩინოსნის ადვოკატების შუამდგომლობა პატიმრობის გირაოთი შეცვლის თაობაზე.**

ადვოკატები ითხოვდნენ გირაოთი გათავისუფლებას იმ პირობით, რომ გამამტყუნებელი განაჩენის შემთხვევაში დაკავებულები სრულად აანაზღაურებდნენ სახელმწიფოსთვის მიყენებულ ზარალს. გარდა ამისა, ბათუმის მოქმედ მერ ლაშა კომახიძესთან გაფორმდა შეთანხმება, რომლითაც დაკავებულები მერიის სასარგებლოდ 480 ათასი ლარის ღირებულების უძრავ ქონებას აგირავებდნენ.

მოსამართლემ განაცხადა, რომ მოქმედ მერთან შეთანხმება მხოლოდ საკრებულოს თანხმობით უნდა გაფორმებულიყო. გარდა ამისა, მოსამართლის აზრით, შეთავაზებული ქონება მნიშვნელოვნად ჩამორჩება სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანის — მილიონ 370 ათასი ლარის ოდენობას.

მოსამართლის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო დარჩა დაცვის მხარე.

ცოცხალი სამყარო

ჩვენი გონიერი მეგობრები

ბორდერ-კოლი ჩეისერი, რომელიც ოფიციალურად იყო აღიარებული მსოფლიოში ყველაზე გონიერ ძაღლად, „მარადიული ნადირობის ქვეყანაში“ 2019 წლის აგვისტოში წავიდა. ამ 16 წლის „გენიოსის“ პატრონი ბრიტანული ოუფორდ-კოლეჯის ფსიქოლოგიის პროფესორი ჯონ პილი იყო, მისი ერთგული ძაღლი კი, რომელთანაც იგი დღეში 4-5 საათი მეცადინეობდა, იმით იყო ცნობილი, რომ 1022 სიტყვა იცოდა(!)

ზოგადად თუ ვიტყვით, ბევრ ძაღლს ჭეშმარიტად გასაოცარი ნიჭი აქვს, ამით **ბორდერ-კოლი ჩეისერი** იქნებ არც დიდად გამორჩეული იყო, ოღონდ გაუმართლა და ისეთი კაცის ხელში მოხვდა, ვინც მის ბუნებრივ უნარს დღენიადაგ განავითარებდა.

ძაღლებს, თავისთავად, საკმაოდ ბევრი რამ შეუძლიათ, მაგრამ ადამიანის მეტყველება რომ ესმოდეთ, მათთან სისტემატური მეცადინეობაა საჭირო. არადა, ძაღლი არ არის ცხოველთა სამყაროს ერთადერთი წარმომადგენელი, რომელიც გონიერებით გამოირჩევა, რაც საყოველთაოდაა ცნობილი. ამიტომაც ზოგიერთ ქვეყანაში პრიმატებს გარკვეულ სამოქალაქო უფლებებსაც კი ანიჭებენ, რის წყალობით, მათი არც ცირკში გამოყვანა, არც გაყიდვა არ შეიძლება. ასეა, მაგალითად, ინდოეთში, ამ გზას ადგანან კანადელი კანონმდებლებიც. ზოგან კი პიროვნებებად დელფინებიც აღიარეს.

გარდა ამისა, სტენფორდის (აშშ) კვლევით ცენტრში ცხოვრობდა შიმპანზე კოკო, რომელიც ყრუ-მუნჯთა ჟესტების ათას მოძრაობას იყენებდა და კიდევ, სმენით 200 სიტყვას არჩევდა. სეულის (კორეა) ზოოპარკის ბინადარი აზიური სპილო ქჭორიკი კორეულად რვა სიტყვას წარმოთქვამს, ესენია: „დიახ“, „არა“, „კარგია“, „დაჯექი“, „დაწექი“, „საჭმელი“, „წყალი“, „მომვლელი“.

ზღვის ცხოველებში ენის არსებობის დადგენის ოთხწლიან ექსპერიმენტში (1964-68 წწ.) მონაწილე დედალ-მამალი დელფინები ბაზი და დორისი ერთმანეთში თათბირობდნენ იმის თაობაზე, თუ ვის უნდა დაეჭირა კედლით გაყოფილ აუზში ღილაკისთვის ნუგბარის მისაღებად. ეს წესი ნათურების ციმციმით დგინდებოდა, თავთავისი ღილაკისთვის კი ორივე დელფინს ერთდროულად უნდა დაეჭირა.

კიდევ ერთი ჭკვიანი შიმპანზე კანზი აიოვის (აშშ) კვლევით ცენტრში ცხოვრობს: მან ცეცხლის დანთება და შრომის იარაღების დამზადება იცის. სმენით სამი ათას სიტყვას აღიქვამს, ხოლო თავად ხელოვნურ ენა იერკიშზე 500 სიმბოლოს იყენებს.

„არასერიოზული“ ინდექსები

ეკონომიკის **კრიზისის თუ პირიქით, აღმავლობის ხანის დასადგენად, სოციოლოგები ზოგჯერ ერთობ „არასერიოზულ“ მაჩვენებლებს იყენებენ. ცხადია, ისინი ვერ ცვლიან ოფიციალური სტატისტიკის სამსახურების მონაცემებს, მაგრამ, საკმაოდ ზუსტად ასახავენ მოსახლეობის ზოგად განწყობას.**

წითელი პომადის ინდექსი. მიჩნეულია, რომ ხასხასა კოსმეტიკა ერთგვარი ანტიდეპრესანტის როლს ასრულებს და თუკი ქალბატონები საკუთარი ემოციური ტონუსის ასაწევად ჩვეულებრივზე მეტად ხასხასა წითელ პომადას ყიდულობენ, ეს ეკონომიკური კრიზისის ნიშანია.

ოფიციანტი ქალიშვილების მიმზიდველობის ინდექსი. თუკი რესტორნებსა და კაფეებში მომრავლდა მომხიბლავი თანამშრომლები, ეს მძიმე დროის დადგომის ნიშანია, რის გამოც ბევრი ლამაზი და კარგი განათლების მქონე ქალი იძულებულია, ნაკლებად კვალიფიცირებულ სამუშაოზე დათანხმდეს.

განქორწინებათა ინდექსი. ეკონომიკური პრობლემების შიშით, ადამიანები ვერ რისკავენ დალაგებულ ურთიერთობათა გაწყვეტას. ამიტომ, კრიზისების დროს განქორწინებათა ოდენობა საგრძნობლად იკლებს.

მოამზადა ნინო ალექსანდრიამ

საქართველოს ეროვნული სტენდი ფრანკფურტის წიგნის ფესტივალზე

16 ოქტომბერს ფრანკფურტის წიგნის ფესტივალზე საქართველოს ეროვნული სტენდი გაიხსნა. ინფორმაციას საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია ავრცელებს.

საქართველო წელს განახლებული სლოგანით – Follow the Journey of Georgian Characters არის წარმოდგენილი.

ფესტივალი 20 ოქტომბრამდე გაგრძელდება, სადაც უცხოური გამომცემლები ქართულ ლიტერატურას გაეცნობიან.

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე 2007 წლიდან იღებს მონაწილეობას.

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა მსოფლიოში უდიდესი წიგნის ბაზრობაა, რომელშიც ყოველწლიურად ათასობით გამომცემელი და ავტორი მონაწილეობს

„ანატომიური უცნაურობანი“

„ანატომიური უცნაურობანი“ – ამ სახელწოდების გამოფენა თბილისის ისტორიის მუზეუმში გაიხსნა. ნამუშევრები მხატვარ გოგა ჯაფარიძეს ეკუთვნის.

ავტორი სურათ-ხატების მეშვეობით წარმოაჩენს თურა ანატომიური მსგავსებები და განსხვავებები შეიძლება იყოს ადამიანებსა და ცხოველებს შორის. ხელოვანს ფერწერის ფაკულტეტის გარდა, შვეიცარიასა და გერმანიაში არტ თერაპიის კურსები აქვს გავლილი. გამოფენა 30 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

საქართველო – ბელგია-ლუქსემბურგის გავლენიან გამოცემებში

ბელგიისა და ლუქსემბურგის გავლენიანი გამოცემების ჟურნალისტები საქართველოში სტატიების მოსამზადებლად ჩამოვიდნენ. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, მათმა უწყებამ ევროპელ ჟურნალისტებს უმასპინძლა.

ტურის მონაწილეებს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მარიამ ქვრივიშვილი ძველ თბილისში შეხვდა.

პრესტურში ლუქსემბურგისა და ბელგიის ერთ-ერთი ყველაზე წამყვანი ბეჭდური მედიის „Marie Claire“, „Plus Magazine“ Tageblatt და Luxemburger Wort-ის წარმომადგენლები მონაწილეობენ.

„ჩვენ მოხარულები ვართ, რომ ისეთი გამოცემის, როგორიცაა Marie Claire-ის წარმომადგენლები სტუმრობენ საქართველოს. გაცნობითი ტურის ფარგლებში ჟურნალისტებს ვაჩვენებთ ყველა იმ ღირსშესანიშნაობას, რითაც ვამაყობთ. სხვადასხვა გამოცემებში, მათ შორის Marie Claire-ში, მალე ვიხილავთ სტატიებს, სადაც მკითხველს ურჩევენ, რომ საქართველოში იმოგზაურონ“, – განაცხადა მარიამ ქვრივიშვილმა.

უწყების ცნობით, ევროპელ ჟურნალისტთა ჯგუფი თბილისის შემდეგ მცხეთას, სტეფანწმინდას, გუდაურს და კახეთს ეწვევა.

ტურის დასრულების შემდეგ ჟურნალისტები საქართველოს შესახებ ვრცელ სტატიებს მოამზადებენ. მაღალრეიტინგულ გამოცემებს მილიონობით მკითხველი ჰყავს როგორც ევროპის, ასევე აშშ-ის მასშტაბით.

უნიკალური სამარხები ნეკრესში

საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგებმა მრავაწლიანი კვლევის შემდეგ ნეკრესის ნაქალაქარის ტერიტორიაზე IV-V საუკუნეებით დათარიღებულ დოლოჭოპის ბაზილიკაში უნიკალურ სამარხებს მიაგნეს.

როგორც ეროვნული მუზეუმის წარმომადგენლები აღნიშნავენ, ეს აღმოჩენა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა და ადრე ქრისტიანული ხანის ტაძრებისთვის დამახასიათებელი სამარხების საქართველოში არსებობას ადასტურებს.

სპეციალისტებმა ყვარელში სიძველეებისა და ახალი არტეფაქტების მიგნებით, მდინარე დურუჯთან მდებარე სატაძრო კომპლექსზე არაერთი საინტერესო ინფორმაცია მიიღეს. სამარხების ზომებმა ექსპედიციის მონაწილეები დაარწმუნა, რომ საქართველოში რომის იმპერიისა და ადრეული ბიზანტიის მსგავსი ბაზილიკები იგებოდა.

ახალი სკაფანდრები მთვარესა და მარსზე ფრენისთვის

აშშ-ის აერონავტიკის და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნულმა სამმართველომ (NASA) მთვარესა და მარსზე ფრენისთვის ახალი სკაფანდრები წარადგინა. დემონსტრაცია ვაშინგტონში, NASA-ს შტაბბინაში გაიმართა.



„თუ გავიხსენებთ Apollo-ს თაობას, ნილ არმსტრონგი და ედვინ ოლდრინი მთვარის ზედაპირზე დახტოდნენ, ახლა კი მთვარის ზედაპირზე სიარული იქნება შესაძლებელი“, – განაცხადა NASA-ს დირექტორმა ჯეიმს ბრაიდენსტაინმა. ერთი სკაფანდრი ხომალდ Orion-ის ბორტზე გამოყენებისთვის, მეორე კი მთვარის ზედაპირის შესასწავლად არის განკუთვნილი. სკაფანდრები სპეციალურად მთვარის პროგრამისთვის არის შექმნილი. შემქმნელების განცხადებით, მარსზე გაფრენის შემთხვევაში სკაფანდრებში მცირე ცვლილებების შეტანა იქნება საჭირო.

75 წლის ინდოელმა ბავშვი გააჩინა

ინდოეთში, რაჯასტანის შტატის მცხოვრებმა პრაბჰა დევიმ 75 წლის ასაკში ბავშვი გააჩინა. ამის შესახებ Sun-ი წერს. ჩასახვა ინ ვიტრო ანუ ექსტრაკორპორალური განაყოფიერების გზით მოხდა. გოგონა ორსულობის 30-ე კვირას დაიბადა. ის დაახლოებით 700 გრამს იწონის. ჩვილი ხელოვნური ვენტილაციის აპარატზეა მიერთებული. მისი მდგომარეობა სტაბილურია.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9701; ევრო - 3.2725;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7631;
100 რუბლი - 4.6078; თურქული ლირა - 0.5032;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7482;
1000 სომხური დრამი - 6.2292.

ამინდი 17 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+8,	დღე	+24
მთიანი რაიონები -	ღამე	+1,	დღე	+24
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+11,	დღე	+29
მთიანი რაიონები -	ღამე	+7,	დღე	+28
თბილისი:	ღამე	+11,	დღე	+25

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge